პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 261 (9421) | კვირა. 2 ნოემბერი. 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, საწარმოთა ხელმძღვანელებო! დღითიდღე კვლავ აუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი, უზრუნველყავით ჩვენი მრეწველობა და მოსახლეობა საუკეთესო ხარისხის მოწყობილობით, მასალებითა და საქონლით!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა აგროტექნიკურ ვადებში უნდა შესრულდეს

საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეუდგა კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გენიალურ წინასწარდასახულობათა განხორციელებას, რომლებშიც მოცემულია სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები. მშრომელთა აზრები და საქმეები მიმართულია იქითკენ, რომ მთლიანად და გადამეტებით შეასრულონ მეხუთე სტალინური ხუთწლედი, რაც წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში წარმატებით შრომობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. ხალხთა სტალინური მეგობრობით შეკავშირებულნი, ისინი ამრავლებენ წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის სოციალისტური სოფლის მეურნეობის ფრონტზე. ამასთან ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებანიც ახასიათებს. მართალია, 25 ოქტომბრისათვის დათესილი იყო 23 პროცენტით მეტი საშემოდგომო ხორბალი, ვიდრე გასული წლის იმავე რიცხვისათვის, მაგრამ კოლმეურნეობები აგვიანებენ თესვის გეგმის შესრულებას.

მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯეროვნად არ აფასებენ საშემოდგომო თესვის დროულად ჩატარების მნიშვნელობას, ხელიდან უშვებენ ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლის თესვის საუკეთესო ვადებს და თესვის გვიან შემოდგომამდე გაჭიანურებით საფრთხის წინაშე აყენებენ მომავალ წელს უხვი მოსავლის მოყვანას. 25 ოქტომბრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებს საშემოდგომო ხორბლის თესვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 52,7 პროცენტით. აქედან თბილისის ოლქის კოლმეურნეობებს — 56,5 პროცენტით, აჭარის ასსრ კოლმეურნეობებს — 3,3 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებს — 16,1 პროცენტით, ხოლო აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობები სულაც არ შესდგომიან თესვას. საშემოდგომო თესვაში განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან ბოლნისის, ახმეტის, ყვარლის, თეთრი წყაროს, კაჭრეთის, გარდაბნის, თიანეთის, კასპის, დუშეთის, გარეუბნის, ასპინძის, ადიგენის რაიონები.

პარტიის რაიკომების ცალკეული მდივნებისა და რაიაღმასკომების თავმჯდომარეების უმოქმედობის გამო დამთავრებული არ არის თესლის გაწმენდა და მისი აყვანა სათეს კონდიციამდე. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად არის მოწყობილი მუშაობა თელავის, თიანეთის, ყვარლის, ადიგენის, ბოლნისის, დუშეთის, ახმეტისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში.

ზოგან უხეშად არღვევენ აგროტექნიკურ წესებს: არ იცავენ ხვნის დაწესებულ სიღრმეს, ღრმად მოხვნისათვის არ იყენებენ წინმხვნელიან გუთნებს. ამასთან ერთად დაბალია ხვნის ტემპი. მტს-ების მძლავრ ტექნიკას მთელ რიგ მტს-ებში საკმაოდ ვერ იყენებენ. ხვნაში ჩამორჩნენ ხაშურის, კაჭრეთის, მცხეთის, მარტყოფის, ენისლის, წნორის, თელეთის, ბადიაურისა და აგარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

იყო შემთხვევები, რომ კოლმეურნეობებში დათესეს უკონდიციო და შეუმოწმებელი თესლი. მაგალითად, კაჭრეთის რაიონის სოფელ ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში უკონდიციო თესლი დათესეს 20 ჰექტარზე. ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა თელავისა და გურჯაანის რაიონებშიც.

მთელ რიგ რაიონებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვის დანერგვას. სრულიად არადამაკმაყოფილებელი ტემპით წარმოებს კოლმეურნეობების მიერ მინერალური სასუქების გაზიდვა და მათი შეტანა საშემოდგომო ხორბლისათვის განკუთვნილ ფართობებში.

საქართველოს მშრომელთა წინაშე პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი სტალინის მიერ დასახულია ამოცანა — 1957 წლისათვის საქართველო უზრუნველყოფილ იქნას საკუთარი პურით. საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მტს-ებს ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის. აუცილებელია მთლიანად გამოვიყენოთ ეს დახმარება, ავამოქმედოთ ხორბლის მოსავლიანობის გადიდების ყველა რეზერვი. მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა უნდა გახდეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ღვიძლი საქმე, საყოველთაო საქმე. საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობამ მარცვლეულის პრობლემას განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმო. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წინაშე, საქართველოს მშრომელთა წინაშე ახლანდელ ეტაპზე მდგომი სოფლის მეურნეობის ყველა პრობლემიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია მარცვლეულის პრობლემა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ძირითადი მუშაობა მარცვლეულის პრობლემის გადასაწყვეტად იწყება 1953 წლიდან, ესე იგი მიმდინარე წლის საშემოდგომო თესვიდან. ეს გვავალებს გადაჭრით გავაუმჯობესოთ მუშაობა რესპუბლიკაში მარცვლეული მეურნეობის განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს საკითხი საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1952 წელს საშემოდგომო თესვის მიმდინარეობის შესახებ და კონკრეტული ღონისძიებანი დასახეს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია სრული დატვირთვით გამოვიყენოთ პირველხარისხოვანი უახლესი ტექნიკა, მოეწყოს ტრაქტორების სადღეღამისო მუშაობა, თვითეულ მტს-სა და თვითეულ კოლმეურნეობას დავუწესოთ თესვის ყოველდღიური დავალება, უზრუნველყოფილ იქნას მისი დროზე შესრულება. საჭიროა მთელი ძალით ვიბრძოლოთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, ფართოდ დავნერგოთ ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული ტრაქტორისტი და მთესველი ასრულებდეს გამომუშავების დღიურ ნორმებს.

არ შეიძლება შევურიგდეთ აგროტექნიკის მოთხოვნებისაგან მცირე გადახვევასაც კი. აგროწესების დაუცველად მოსავლიანობის გადიდებაზე ლაპარაკი ლიტონი სიტყვაა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებულ იქნას უკონდიციო, შეუწამლავი თესლის თესვა ან შემცირებული ნორმებით თესვა. ამ დარღვევებში დამნაშავე პირები მიცემულ უნდა იქნან სასტიკ პასუხისგებაში. აუცილებელია სწრაფად დამთავრდეს საშემოდგომო კულტურების თესლის აყვანა სათეს კონდიციამდე. ამ საქმეში მტს-ების დირექტორებმა უნდა უზრუნველყონ კოლმეურნეობებში ყველა რთული მარცვალსაწმენდი მანქანის სრული გამოყენება.

მოსავლიანობის გადიდების ინტერესები მოითხოვენ კოლმეურნეობებმა დააჩქარონ მინერალური სასუქების გატანა საქსოფლმომარაგების საწყობებიდან, არ დაუშვან ხორბლის თესვა მინერალური სასუქების შეუტანლად.

რაისაბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეები და პარტიის რაიკომების მდივნები ვალდებული არიან სისტემატურად მოაწყონ მინდვრის სამუშაოთა ხარისხის მუდმივი კონტროლი თვითეულ კოლმეურნეობაში, პირადად შეამოწმონ დათესილი მინდვრები, თესვის ხარისხი, ადგილზევე მიიღონ ქმედითი ზომები ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს წითელწყაროელთა პატრიოტულ ინიციატივას—მოეწყოს მეხუთე ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეულის პრობლემის სანიმუშოდ გადაჭრისათვის. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან მასების ეს დიდი შრომითი აღმავლობა გამოიყენონ ჩამორჩენის გამოსასწორებლად, სოფლის მთელი ძალები დარაზმონ საშემოდგომო თესვის გეგმის აგროტექნიკურ ვადებში შესრულებისათვის, აქედანვე ჩაუყარონ საფუძველი მომავალი წლის უხვ მოსავალს.

ჩინეთში გამოდის ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“

პეკინი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ყველა გაზეთი იუწყება, რომ 5 ნოემბერს 600 ათას ცალად გამოვა ჩინურ ენაზე ი. ბ. სტალინის ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

ი. ბ. სტალინის ეს ნაშრომი უკვე გამოაქვეყნა გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ და ამჟამად აქვეყნებს გაზეთი „გუნჟენჟიბაო“.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშით მოვიპოვოთ ახალი გამარჯვებები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში

მგლინავთა ახალი სარეკორდო მიღწევა

რუსთავი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების დღეებში ახალგაზრდა ქართველმა მეტალურგებმა უკვე გადადგეს პირველი პრაქტიკული ნაბიჯები მარტენის საამქროს კოლექტივის მიერ წამოწყებული თაოსნობის — მეტალურგიული წარმოების განვითარების ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულების საპატიო ამოცანის გასანაღდებლად.

ამას წინათ ბლუმინგის საამქროს მოწინავე ცვლამ, რომელსაც ახალგაზრდა სპეციალისტი სერგო საცერაძე ხელმძღვანელობს, ურთიერთშეთანხმებული მაღალნაყოფიერი მუშაობით ახალ სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია. ახალგაზრდა მგლინავებმა ერთ ცვლაში გაგლინეს 189 ფოლადის სხმული და გამომუშავების დღიური ნორმა 184 პროცენტით შეასრულეს. მანამდე სარეკორდო მაჩვენებლად ითვლებოდა ცვლაში 173 სხმულის გაგლინვა, რასაც ყრილობის მუშაობის დღეებში მიაღწია იმ ცვლამ, რომლის ოპერატორები არიან ცნობილი მგლინავები ილია მეტრეველი და არჩილ გზირიშვილი.

ფოლადის გაგლინვის საქმეში ახალი სარეკორდო მაჩვენებლის მოპოვებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი უფროსმა ოპერატორმა რ. ამბოკაძემ, ოსტატმა შ. ხეჩიაშვილმა, უფროსმა გამხურებელმა ე. ფოკინმა, ნაგლინის მჭრელმა ო. ნახუცრიშვილმა, ზეინკალთა ბრიგადირმა ფ. ალადაშვილმა, ნაგლინის ცხელი დამუშავების განყოფილების ბრიგადირმა ს. გაილაშვილმა, ამწეს მემანქანეებმა ო. ნადიბაიძემ და ი. ერმაკოვმა.

შეჯიბრება გაჩაღდა

სტალინირი. (საკ. კორ.). პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და დიდი სტალინის შთამაგონებელი სიტყვის შესწავლა სტალინირის საწარმოებში ახალი შრომითი აღმავლობით აღინიშნება. საწარმოთა კოლექტივები აქტიურად მონაწილეობენ საოქტომბრო შეჯიბრებაში, იბრძვიან ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

მექანიკური ქარხნის კოლექტივი, რომელმაც სასახელოდ განახორციელა 9 თვის დავალება, ოქტომბერში განსაკუთრებული აღმავლობით მუშაობს. ქარხნის მჭედელთა ბრიგადამ იკისრა წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის გაანაღდოს. დღითიდღე ზრდიან მჭედლები შრომის ნაყოფიერებას. მრავლდება სტახანოველთა რიგები. საწარმოს მოწინავენი დ. თედეევი, ი. კასრაძე, გ. ბაგაევი, ვ. ალექსეევი და სხვ. დღიურ ნორმებს 200-350 პროცენტით ასრულებენ.

ლუდის ქარხანამ ოქტომბრის პირველი ნახევრის დავალება 130 პროცენტით შეასრულა. ამ საწარმოს სტახანოველები ვ. ბაგაევა, შ. მჭედლიძე, მ. ივაშჩუკი, ზ. ბაკაევა და დ. ელბაქიძე იმისათვის იბრძვიან, რომ სადღესასწაულოდ გეგმის გადამეტებით გამოუშვან ათასობით ლიტრი მაღალხარისხოვანი ლუდი.

აჭარაში დაიწყო მანდარინის შერჩევით კრეფა

ბათუმი. (საკ. კორ.). შემოდგომის მზიანმა დღეებმა ხელი შეუწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის, კერძოდ მანდარინის დაჩქარებით დამწიფებას. ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო მანდარინის ნაყოფის შერჩევით კრეფა.

მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი დ. ტუღუში) პლანტაციებში მანდარინის საკრეფად გავიდნენ ე. კორძაძის, ი. შავიშვილის, ა. ნარსიას და შ. სალარეიშვილის ბრიგადების წევრები. მეციტრუსეებს ს. დოლიძეს, პ. ბელეტინსკაიას, ვ. დიმიტრიევას, ა. ბატიუტას და სხვებს, რომლებიც მანდარინს კრეფენ, ახარებთ ის, რომ მათ მიერ მოკრეფილი ციტრუსოვანთა ნაყოფი სადღესასწაულო სუფრას დაუმშვენებს მოსკოვის, ლენინგრადის და მოძმე რესპუბლიკების სამრეწველო ცენტრების მშრომელებს. მეურნეობის მუშები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ და პირობას დებენ, რომ 2-3 დღეში 100 ათას ცალ მანდარინის ნაყოფს მოკრეფენ.

შერჩევითი კრეფა გაჩაღდა აგრეთვე ახალშენის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ვ. ლომაძე). აქ სადღესასწაულოდ მშრომელთათვის გასაგზავნი მანდარინის ნაყოფის საკრეფად პირველნი გავიდნენ მესამე აგროგანყოფილების მეციტრუსეები.

კრეფა დაიწყეს მეურნეობის დანარჩენი აგროგანყოფილების მეციტრუსეებმაც. მათი პირობაა მოკრიფონ და 7 ნოემბრისათვის მშრომელთა სუფრას მიაწოდონ 100 ათასზე მეტი ცალი მანდარინის ნაყოფი. კრეფაში პირველ დღესვე დაწინაურდნენ ს. კვერღელიძე, ს. ნოდია, მ. ბერეზინა.

რაიონის მეციტრუსეები საოქტომბროდ მშობლიური მოსკოვისა და სხვა ქალაქების მშრომელებს გაუგზავნიან 12 ვაგონ მანდარინის ნაყოფს.

მშენებელთა შრომითი მამაცობა

გორი. (საკ. კორ.). პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ სტალინის ისტორიულმა სიტყვამ ახალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა გამოიწვია ისტორიული დიდების ქალაქის — გორის მშენებელთა შორის. ახალმშენებლობათა კოლექტივებმა წარმატებით გაანაღდეს ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი. მრავალმა სამშენებლო ბრიგადამ და მშენებელმა ვადამდე შეასრულა ათი თვის გეგმა.

ახალი ძალით გაიშალა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება მუზეუმის მშენებელთა შორის. წარმატებით მიმდინარეობს შენობის მოპირკეთება ეკლარის ქვით, წარმოებს ბაზალტის იატაკის დაგება, შიდა კედლების შელესვა, სახუქურთმო და სანიტარულ-ტექნიკური სამუშაოები.

ამხ. გ. სანაკოევის მეჩუქურთმეთა ბრიგადამ შესანიშნავ წარმატებას მიაღწია, ერთ თვეში დაამთავრა და შენობის ცენტრალურ ფასადზე დააყენა 10 კაპიტელი. ოქტომბერში ბრიგადას ახალი დავალება მიეცა. მან მოკლე დროში უნდა უზრუნველყოს შენობის მეორე სართულის ფანჯრების არქიტექტურული საყრდენებისა და ქვის სხვა დეტალების დამზადებისა და დაყენების სამუშაოთა დამთავრება. ბრიგადის წევრები —ახალგაზრდა მეჩუქურთმენი უ. მაჩაიძე, უ. ცერცვაძე, გ. ამირხანოვი, ნ. ხაჩიძე და სხვები დღიურ დავალებებს 20-25 პროცენტით აჭარბებენ. ჩქარი ტემპით წარმოებს შენობის მოპირკეთებაც.

მთავარი უნივერმაღის გორის განყოფილების მშენებლები აგრძელებენ სტახანოვურ ვახტს. მათ გააჩაღეს საოქტომბრო შეჯიბრება. დურგლები ი. რჩეულიშვილი, შ. სახელაშვილი, კალატოზი ვ. მაჭარაშვილი, მეარმატურე ქ. ზედგინიძე და სხვები 115-120 პროცენტით ასრულებენ დღიურ ნორმებს. ბრიგადა, რომელსაც ა. გუკასიანი ხელმძღვანელობს, ჩაება საოქტომბრო შეჯიბრებაში და დღიურ ნორმას 20-22 პროცენტით აჭარბებს.

სასახელოდ შრომობენ ოცბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლები. სტახანოვური შრომით თავი ისახელა მეარმატურე შ. გოგოლაძემ, რომელიც ნაცვლად 640 კილოგრამისა ყოველდღე 800-1.000 კილოგრამ საარმატურე რკინას ამუშავებს. მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევაში ერთმანეთს ეჯიბრებიან შ. შავდათუაშვილი, ი. სურამელი და სხვები.

გორის ახალმშენებლობათა მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები გულდასმით სწავლობენ ყრილობის მასალებს, დიდი სტალინის ისტორიულ სიტყვას, დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს და ახალ შრომით წარმატებებს აღწევენ.

საყურადღებო წინადადება

ქუთაისი. (საკ. კორ.). სამკერვალო ფაბრიკის მექანიკოსმა ა. შენგელიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დღემდე არსებული სამკერვალო კონვეიერი. მან ერთლენტიანი აგრეგატი გადააკეთა ორლენტიანად.

ნოვატორმა მექანიკოსმა თვითეულ საკერავ მანქანაზე მოაწყო ძრავი და ელექტროჩამრთველი, აგრეთვე ინდივიდუალური განათება. ამ ტექნიკური გაუმჯობესებით ფაბრიკა ყოველწლიურად მიიღებს 107.400 მანეთის ეკონომიას და მნიშვნელოვნად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას. ამჟამად აღნიშნული კონვეიერის საშუალებით თვითეული აგრეგატი გამოუშვებს 350-400 შარვალს ნაცვლად 230 შარვლისა.

მექანიკოს ა. შენგელიას წინადადებით რეკონსტრუირებული კონვეიერი მოიწონა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და გადაწყვიტა იგი დანერგოს სხვა სამკერვალო ფაბრიკებში.

◊



თბილისის საწარმოებში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის ღირსეული საწარმოო მაჩვენებლებით შეხვედრისათვის. წარმოების მოწინავე ადამიანები, სოციალისტური შრომის ნოვატორები გადიდებულ საწარმოო ვალდებულებებს კისრულობენ და იბრძვიან მათი განხორციელებისათვის. სურათზე: 1. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის № 9 მექანიკური საამქროს სტახანოველები გ. დოშოიანი და მ. ტატუაშვილი აქტიურად მონაწილეობენ საოქტომბრო შეჯიბრებაში და გამომუშავების დღიურ ნორმებს ორ-სამმაგად ასრულებენ; 2. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის სახარატო-მექანიკური საამქროს უფროსი, ინჟინერი ვ. ჯულელი (მეორე მარჯვნიდან) ესაუბრება ქარხნის წარჩინებულ სტახანოველებს კ. ბუბაშვილს, ნ. ფუნტიკოვს და ტ. გრიგორიანს, რომლებმაც ცვლაში ორ-ორი ნორმა გამოიმუშავეს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მაღალხარისხოვანი დაზგები საფეიქრო მრეწველობას

პარტიის XIX ყრილობის ღირსეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა. სექტემბრის გეგმა საწარმომ 131,8 პროცენტით გაანაღდა და დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

განსაკუთრებით დაწინაურდა ქარხნის კოლექტივი საფეიქრო დაზგების გამოშვების საქმეში. საამქროებს შორის შეთანხმებული მუშაობით, შრომის ორგანიზაციითა და მუშაობაში ტექნიკურ გაუმჯობესებათა შეტანით მანქანათმშენებლებმა სექტემბერში გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული საქსოვი დაზგა დაამზადეს.

ქარხნის კოლექტივი მიღწეულით არ დაკმაყოფილდა, ოქტომბერში ფართოდ გააჩაღა დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრება, იკისრა საფეიქრო დაზგების გამოშვების წლიური გეგმა 1 ნოემბრისათვის შეესრულებინა და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით ათობით დაზგა გამოეშვა.

ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად ყველა საამქროში თავდადებული შრომა გაჩაღდა. საამქროების მუშაობაზე დააწესეს მტკიცე კონტროლი იმისათვის, რომ რომელიმე მათგანის გაუმართავ მუშაობას არ შეეფერხებინა მომდევნო საამქროს მუშაობა. ყველა საამქრო ზუსტად ასრულებდა ურთიერთისათვის დეტალების მიწოდების გრაფიკს. ასეთი მუშაობით მათ უზრუნველყვეს ნაკისრი ვალდებულების — საფეიქრო დაზგების გამოშვების წლიური გეგმის შესრულება პირველი ნოემბრისათვის.

საოქტომბრო შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მჭედლები ვ. კორძაძე, ი. სპიცინი, გ. მელდინი, მეყალიბეები ა. ბროვკოვი, გ. ზარანიანი, ა. ბაკაშვილი, ხარატები მ. გოგილაშვილი, გ. ჩახნაშვილი, მ. აკოფოვი, ზეინკლები ვ. ტოკაშვილი, ვ. ჯარიაშვილი, ა. ხაჯიევი და ათობით სხვა სტახანოველი.

დიდი დღესასწაულის შესახვედრად

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებსა და მტს-ში ფართოდ გაჩაღდა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. სოფელ მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის (ბრიგადირი გ. პატიეშვილი) წევრებმა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 5 ოქტომბრისათვის შეასრულეს. ბრიგადის წევრებმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 9 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მაღალნაყოფიერად შრომობს მტს-ის კოლექტივი (დირექტორი ამხ. ა. გაფრინდაშვილი). მტს-მა პარტიის XIX ყრილობის მუშაობის დღეებში შეასრულა 1952 წლის საწარმოო გეგმა. ამ საქმეში თავი ისახელეს პ. სანაძისა და ს. ორაგველიძის სატრაქტორო ბრიგადების ტრაქტორისტებმა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად მექანიზატორები კისრულობენ ვადაზე 20 დღით ადრე შეასრულონ სოიის ლეწვის გეგმა, 15 დეკემბრამდე მაღალხარისხოვნად დაამთავრონ ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი, 5 პროცენტით შეამცირონ საწარმოო ხარჯები, დაზოგონ საწვავი მასალები, არ დაუშვან წუნი მუშაობაში.

დიდი მუშაობაა გაჩაღებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვებით უზრუნველსაყოფად. დაბა ლანჩხუთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით 400 ცენტნერი თივა დაამზადა და 45 ტონა სილოსი ჩადო.

ე. შევარდნაძე.

ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ

აბაშის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები, საწარმოო ბრიგადები წარმატებით ანაღდებენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. სოფელ სეფიეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ დროულად დაამთავრა სიმინდის მოსავლის აღება. ამ საქმეში თავი ისახელეს იმ საწარმოო ბრიგადებმა, რომლებსაც ა. ხურცილავა და გ. ოჩიგავა ხელმძღვანელობენ. კოლმეურნეები პ. გოგონაია, ა. ოჩიგავა, ი. ღვანია, ვ. სულავა სიმინდის ტეხის დღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებდნენ. (ჩვენი კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფისათვის

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სოფლის მეურნეობაში

გორი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეები, მექანიზატორები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები მხურვალედ გამოეხმაურნენ წითელწყაროელთა მოწოდებას ხორბლის მოსავლიანობის გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

კოლმეურნეები და მექანიზატორები ეცნობიან მოწოდებას და კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ. სოფელ მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. თომაშვილმა განაცხადა:

— პარტიის XIX ყრილობამ სერიოზული ამოცანები დაუსახა კოლმეურნე გლეხობას. მოსავლიანობის გადიდება მთავარი ამოცანაა მიწათმოქმედებაში. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც გვაკისრია საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ახლანდელ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის — საქართველოს საკუთარი წარმოების პურით უზრუნველყოფის საქმეში. ყველაფერს გავაკეთებთ ხორბლის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

კოლმეურნეობაში 1953 წელს ათვისებულ იქნება 50 ჰექტარი ახალი მიწა. ხუთწლედის ბოლოსათვის ხორბლის ნათესი ფართობი გადიდდება 300 ჰექტარით და 200 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიღებულ იქნება 23 ცენტნერი ხორბალი, დანარჩენზე — გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით.

დავალებას ვადამდე შეასრულებენ

დუშეთი. (საკ. კორ.). კოლმეურნეთა შორის ფართო გამოხმაურება ჰპოვა წითელწყაროელთა ინიციატივამ საქართველოში მარცვლეულის პრობლემის სანიმუშოდ გადაჭრისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

სოფელ ჰოპორტის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. ქიმბარიშვილმა განაცხადა:

— ჩვენი ქვეყანა სასიხარულო დღეებს განიცდის. პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა და დიდი სტალინის ისტორიულმა სიტყვამ ჩვენ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად ახალი შრომითი მამაცობისათვის აღგვაფრთოვანა. ჩვენს წინაშე მთელი პასუხისმგებლობით არის დასახული საპატიო ამოცანა—უახლოეს წლებში საქართველო უზრუნველვყოთ საკუთარი მარცვლეულით. ბრიგადის სახელით პირობას ვიძლევი 1953 წელს ჰექტარზე საშუალოდ მოვიყვანოთ 20 ცენტნერი ხორბალი.

მექანიზატორთა ღვიძლი საქმე

მშობლიური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებითა და დიდი სტალინის ისტორიული სიტყვით აღფრთოვანებული მარტყოფის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში ხორბლის მოსავლიანობის გასადიდებლად.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეოთხე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი ვ. კობიაშვილი). ბრიგადამ პირნათლად შეასრულა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება—სატრაქტორო სამუშაოების მიმდინარე წლის დავალება მთლიანად გაანაღდა. პირობით ხვნაზე გადაყვანით მოხნა 3.125 ჰექტარი, გეგმა კი 2.518 ჰექტარს ითვალისწინებდა. მნიშვნელოვანი წარმატება აქვს საშემოდგომო თესვაშიც: ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ჰექტარისა 30 ოქტომბრისათვის დათესილი ჰქონდა 575 ჰექტარი, აქედან ჯვარედინად — 331 ჰექტარი.

წითელწყაროელ სოფლის მეურნეობის მუშაკთა პატრიოტულმა მიმართვამ საქართველოში მარცვლეულის პრობლემის სანიმუშოდ გადაჭრისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მარტყოფის მტს-ის მექანიზატორთა შორის. ისინი თავდადებულად მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებში და მტკიცე საფუძველს უყრიან უხვ მოსავალს.

მტს-ის მეოთხე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. კობიაშვილმა საუბარში განაცხადა:

— დიდი სტალინის შთამაგონებელი სიტყვა და პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს. საქართველოს კომპარტიის XV ყრილობამ საბრძოლო ამოცანად დაგვისახა მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა. ჩვენ, მექანიზატორებს, კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ტექნიკის გამოუყენებლად შეუძლებელია დიდი მოსავლის მიღება. ჩვენმა ბრიგადამ წლიური გეგმის გადამეტებით პირობით ხვნაზე გადაყვანით უკვე მოხნა 1.393 ჰექტარი და დათესა 75 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი. გარდა ამისა დაზოგა ათასი კილოგრამი საწვავი. პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ამხანაგ სტალინის ისტორიულმა სიტყვამ ჩვენი მუშაობა უფრო საინტერესო და სახალისო გახადა. წითელწყაროელთა მიმართვის პასუხად ჩვენი ბრიგადის წევრები გარკვეული ენერგიით ვიმუშავებთ, რომ ღირსეული წვლილი შევიტანოთ საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის საქმეში.

მექანიზატორებმა სიტყვა საქმედ აქციეს. ტრაქტორისტმა ს. შიოშვილმა სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში ერთ დღეს შემოდგომის ხორბალი 58 ჰექტარზე დათესა. ბრიგადის წევრები იბრძვიან, რათა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის პირობითს ხვნაზე გადაყვანით წლიური გეგმის გადამეტებით მოხნან 300 ჰექტარი. **(საკ. კორ.).**

გაადიდებენ მარცვლეულის მოსავლიანობას

ხაშური. (ტელეფონით საკ. კორ.). საკოლმეურნეო სოფელში დღითიდღე ძლიერდება მუშაობის ტემპი. კოლმეურნეები და მექანიზატორები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საგრძნობლად გაადიდონ ხორბლის მოსავლიანობა, გადაჭარბებით გაანაღდონ მშობლიური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის ყველა დავალება.

გომის მტს-ის მექანიზატორები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ წითელწყაროელთა პატრიოტულ თაოსნობას საქართველოში მარცვლეულის პრობლემის წარმატებით გადაჭრისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

— ჩვენ, მექანიზატორებს,— განაცხადა პირველი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა შ. მოსიაშვილმა, — მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდების საქმეში სერიოზული მოვალეობა გვაკისრია, ვინაიდან მხოლოდ ტექნიკის გამოყენებით შეიძლება იქნას მიღებული უხვი მოსავალი. ბრიგადის წევრების სახელით პირობას ვიძლევი 7 ნოემბრამდე სოფელ ნაბახტევის კოლმეურნეობაში 542 ჰექტარზე დავამთავროთ ხორბლის თესვა, მოსავლიანობის გადიდების მიზნით ჯვარედინად დავთესოთ 300 ჰექტარი და თვითეულ ჰექტარზე უზრუნველვყოთ 20 ცენტნერი პურის მიღება.

წითელწყაროელთა მოწოდებას საქმიანად გამოეხმაურნენ აგრეთვე ტრაქტორისტები ნ. ქოჩიაშვილი, ა. მოსიაშვილი, ა. ტაბატაძე და სხვები.

სოფელ გომის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ის ბრიგადა, რომელსაც ლ. ბესაშვილი ხელმძღვანელობს, იმისათვის იბრძვის, რომ 155 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი ხორბალი მოიყვანოს.

მოსკოვის ამბები

დედაქალაქის ახალმშენებლობათათვის

მოსკოვი. („კომუნისტის“ კორ.). ბულგანინის სახელობის ქარხნის კერამიკულ-საფილე ქარხანა ბევრი სახის სხვადასხვა ნაკეთობას უშვებს. ამ ქარხნის პროდუქცია ამკობს მოსკოვის მეტროპოლიტენის მიწისქვეშა შესანიშნავი სასახლეების დარბაზებს, მათ ფართოდ იყენებენ დედაქალაქის ახალი სახლების მოსაპირკეთებლად.

ქარხნის სამხატვრო საამქრომ ამას წინათ დაამთავრა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის დიდი კერამიკული სკულპტურა და ბარელიეფები, რომლებზეც გამოსახულია ამხანაგი სტალინი. ამჟამად მთავრდება პილონების (20 ფასონის) მხატვრული დეტალების დამზადება მეტროს ახალი სადგურისათვის.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივებით და ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვით აღფრთოვანებული ქარხნის კოლექტივი ახალი შრომითი ენთუზიაზმით ეგებება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 35-ე წლისთავს, მნიშვნელოვნად ადიდებს პროდუქციის გამოშვებას. შესანიშნავი პერსპექტივები აქვს ექსპერიმენტულ მუშაობას, რომელიც ახლა ქარხანაში წარმოებს და რომელიც ითვალისწინებს ფილების გამოწვას ერთხელ და არა ორჯერ, როგორც ამჟამად კეთდება. ახალი მეთოდის ათვისება ქარხანას შესაძლებლობას მისცემს გაადიდოს საწარმოო სიმძლავრე დაახლოებით 40 პროცენტით.

საცხოვრებელი სახლები ტიპური პროექტების მიხედვით

მოსკოვი. („კომუნისტის“ კორ.). სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების ფართო მშენებლობა.

მრავალი საცხოვრებელი სახლი აშენდა ტიპური პროექტების მიხედვით. ამ გარემოებამ დიდი და საპატიო ამოცანები დააყენა ქალაქთა დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის წინაშე. დღემდე ტიპური პროექტების მიხედვით, როგორც წესი, შენდებოდა სახლები არა უმაღლეს სამი სართულისა. ამჟამად ინსტიტუტის არქიტექტორები და ინჟინრები მუშაობენ მრავალსართულიანი სახლების ტიპურ პროექტებზე. ამ სახლების კონსტრუქციები და ნაწილები უნდა დამზადდეს ინდუსტრიული წესით, რაც არა მარტო ბევრად შეამცირებს სახლების აშენების ვადებს, არამედ მნიშვნელოვნად შეამცირებს თვითღირებულებასაც.

მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდება 15 სხვადასხვა ტიპური პროექტი ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და მუშათა დაბებში საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობისათვის.

მოსკოვის მშრომელთა ბაღები

მოსკოვი. („კომუნისტის“ კორ.). ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში და მოსკოვის ოლქში სულ უფრო და უფრო ვითარდება მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური და ინდივიდუალური მებაღეობა. ათი ათასზე მეტ მუშას და მოსამსახურეს აქვთ ბაღები, რომელთა ფართობი ათას ჰექტარს აღემატება. კოლექტიური და ინდივიდუალური ბაღები აქვთ სტალინის სახელობის ავტოქარხნის, ქარხანა „სერპ ი მოლოტის“, კუიბიშევის სახელობის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის, ქარხანა „კაუჩუკის“ და სხვ. საწარმოთა მუშებსა და მოსამსახურეებს.

მარტო მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასარგავად მომზადდა ასეულ ათასობით ნერგი.

მოსკოვის ბაღებისათვის ხეხილის დიდძალი ნერგი მოამზადა დეკორაციული მებაღეობის მოსკოვის კომბინატმა. მომზადებულია მიჩურინული და ძველი რუსული ვაშლის ხის 25 ჯიში. ამ შემოდგომაზე კომბინატი მოსკოველებს გადასცემს 25 ათასზე მეტ ვაშლის, მსხლისა და ქლიავის ნერგს, 50 ათასზე მეტ კენკრის ნერგებს.

დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში მოეწყო ხილ-კენკრის ნერგების ბაზარი, სადაც დიდძალი ნერგი გაიყიდა.

წერილები რედაქ[illegible]

მოვაგვაროთ ფართო მოხმარების მინის წარმოება

ფართო მოხმარების მინის ნაწარმზე საქართველოში დიდი მოთხოვნილებაა. მიუხედავად ამისა დღემდე არა გვაქვს სათანადოდ მოწყობილი შესაფერისი წარმოება, რომელიც დაამზადებს მაღალხარისხოვან გრაფინებს, დიდი ზომის ბოთლებს, ქილებს და სხვ.

მინის ღრუ ნაწარმის ტრანსპორტირება მეტად არარენტაბელურია, ამიტომ მისი შემოზიდვა სხვა რესპუბლიკებიდან ხელსაყრელი არ არის. ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქციეს სარეწაო კოოპერაციამ, ინვალიდთა კოოპერაციის არტელებმა და სხვა ორგანიზაციებმა.

თბილისში უკვე მუშაობს აღნიშნული ორგანიზაციების ხუთი პატარა საამქრო. ასეთივე საამქროებია რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც.

ერთი შეხედვით მათ თითქოს კარგი საქმე გააკეთეს, მაგრამ ზოგიერთი მათგანის მუშაობის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ამ სახით მათი არსებობა შეუწყნარებელია. საამქროების მიერ გამოშვებული პროდუქცია დაბალი ხარისხისაა, ადვილად იმსხვრევა გადატანის დროს ან პირველი გამოყენებისთანავე.

მინის ნაწარმს სჭირდება გარკვეული ფერი, მოპირკეთება, სათანადო გაფორმება. ამ მხრივაც საამქროების მიერ გამოშვებული პროდუქცია მდარეა. მინის ეს საწარმოები კუსტარულ სახელოსნოებს უფრო გვანან, ვიდრე თანამედროვე საამქროებს. მოუწესრიგებელია შრომის დაცვა, ხდება სათბობის გადახარჯვა, არ არის ტექნიკური კონტროლი, გამეფებულია პრიმიტიულობა.

მინის სახარში ღუმელის აშენება, მისი ექსპლოატაცია მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს მოითხოვს. ამ საქმეს კი ჩვენში ახლა არაკვალიფიციური ადამიანები ასრულებენ, ამიტომ ღუმელების აგებისას დაშვებულია უხეში შეცდომები. ყოველივე ეს ზარალს აყენებს სახელმწიფოს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ ჯეროვნად ვერ მოაგვარა მინის ფართო მოხმარების საგნების გამოშვება. საჭიროა სამინისტრომ და სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმმა დღემდე არსებული რამდენიმე ცუდად მოწყობილი საამქროს ნაცვლად შექმნან თბილისში ტექნიკურად სათანადოდ აღჭურვილი, საქმის მცოდნე კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული ერთი საწარმო, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას ფართო მოხმარების მინის ნაწარმზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი საწარმოს აშენება ძნელი არ არის, დიდ კაპიტალურ დაბანდებებს არ მოითხოვს, ხოლო ნახევრადშეფერილი მინის ნაწარმისათვის საჭირო ძირითადი ნედლეული საქართველოში უხვად მოიპოვება.

კ. ქუთათელაძე,
დოცენტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სილიკატების ტექნოლოგიის კათედრის გამგე.

უდანაკარგოდ ავიღოთ ტუნგოს მოსავალი

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა საშუალება აქვთ გადაჭარბებით შეასრულონ ტუნგოს მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების მიმდინარე წლის გეგმები. მოსავალს განსაკუთრებით კარგი პირი უჩანს მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, წალენჯიხის და სხვა რაიონებში.

ტუნგოს მოსავლის აღება უკვე დაიწყო. მაგრამ ამ სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის ცალკეულ რაიონებში საჭირო ზომებს არ იღებენ. მაგალითად, ხობის, გეგეჭკორის, ცხაკაიას და ჩხოროწყუს რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ტუნგოს პლანტაციები ეკალ-ბარდშია გახვეული, ნაყოფის აღება და გამოზიდვა გაძნელებულია. ასეა კერძოდ ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, ამავე სოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარეები ხაბურზანია და გაბელია), გეგეჭკორის რაიონის სოფელ ხუნწის მოლოტოვის სახელობის (თავმჯდომარე ფაცაცია), ხობის რაიონის სოფელ ახალხიბულის კიროვის სახელობის (თავმჯდომარე ჯიშკარიანი), ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში.

ასეთივე მდგომარეობაა სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვ.

აღნიშნულ კოლმეურნეობებში წლების განმავლობაში ბევრგან პლანტაციები არ გაუწმენდიათ, ხეები იჩაგრება და ზიანდება, მოსავლიანობის გეგმა ვერ სრულდება, მაგრამ ამ მდგომარეობას კოლმეურნეობებისა და რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები ადვილად ურიგდებიან.

საჭიროა თვითეული რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოკლე დროში შევამოწმოთ პლანტაციები, გადამჭრელი ზომები მივიღოთ მათი დაუყოვნებლივ გაწმენდისა და წესრიგზე მოყვანისათვის.

არ უნდა გავიმეოროთ გასული წლის შეცდომები, როცა ზუგდიდის, ხობის, ცხაკაიას და სხვა რაიონებში იყო ხიდან ჩამოცვენილი ნაყოფის დანაკარგები.

დროზე და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ ტუნგოს ნაყოფის აღება, გაწმენდა, გაშრობა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება.

ვ. ქარქაშაძე,
ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკური კულტურების სამმართველოს ტუნგოს კულტურის უფროსი აგრონომი.

ხორბლის უხვი მოსავლის მომყვანი კოლმეურნეობის გამოცდილებიდან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს ხორბლის მოსავლის მკვეთრად გადიდებას. დირექტივებში ნათქვამია, რომ ამიერკავკასიის რაიონებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჰექტარზე უნდა გადიდდეს 20-22 ცენტნერამდე და სარწყავ მიწებზე 30-34 ცენტნერამდე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობაზე თქვა: „ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ყველა პრობლემიდან ახლანდელ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია მარცვლეულის პრობლემა. ჩვენ, საქართველოს კომუნისტებს, უნდა გვახსოვდეს, რომ მარცვლეული მეურნეობის განვითარების გეგმა შედგენილია ისეთი ვარაუდით, რომ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის ძირითადი სამუშაოები 1953-1957 წლებში შესრულდეს. მაშასადამე, ის, რაც აქამდე კეთდებოდა, მხოლოდ უმნიშვნელო წილია იმისა, რაც უნდა გაკეთდეს, რომ საქართველო საკუთარი წარმოების მარცვლეულით უზრუნველვყოთ.

საქართველოს კომპარტიამ ისე უნდა იმუშაოს, რომ 1957 წლისათვის მთლიანად გადაჭრას მარცვლეულის პრობლემა. ამასთან უნდა გვახსოვდეს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამაში მოსავლიანობის გადიდება. ჩვენ მნიშვნელოვნად უნდა გადავაჭარბოთ დაგეგმილ მოსავლიანობას, განსაკუთრებით ხორბლის მოსავლიანობას“.

საქართველოს მშრომელთა წინაშე დგას ამოცანა უფრო მეტი მონდომებითა და ენერგიით იმუშაონ, რათა შეასრულონ ამხანაგ ი. ბ. სტალინის დავალება საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი წარმოების მარცვლეულით უზრუნველყოფის საქმეში.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური დახმარებითა და მზრუნველობით რესპუბლიკის საკუთარი წარმოების პურით უზრუნველყოფის საქმეში მიმდინარე წელს დიდი წვლილი შეიტანეს წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა. სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარედ სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ი. ქავთარაძე მუშაობს, 3.204 ჰექტარ შემოდგომის ხორბლის ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 20,7 ცენტნერი მოსავალი მოიყვანა, ხოლო 1.394 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 24,9 ცენტნერი.

ხორბლის კარგი მოსავალი მიიღო იმ ბრიგადამ, რომელსაც ს. ბუჩუკური ხელმძღვანელობს. მან 691 ჰექტარი შემოდგომის ხორბლის ნათესის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 22,9 ცენტნერი პური მოიწია, ხოლო მაღალმოსავლიანი 170 ჰექტარი (ჯიშ „ნოვოუკრაინკა-83“-ის) ფართობის თვითეულ ჰექტარზე 31,2 ცენტნერი. კოლმეურნეობამ პირნათლად მოიხადა პატრიოტული ვალი სამშობლოს წინაშე და პირველი განალეწიდან დროულად ჩააბარა სახელმწიფოს 18.000 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ხორბალი.

კოლმეურნეები აღფრთოვანებული არიან მიმდინარე წლის ბარაქიანი მოსავლით. მათ ავანსად შრომადღეზე 10 კილოგრამი ხორბალი მიიღეს. ბევრია ისეთი ოჯახი, რომელმაც 13-14 ტონა ხორბალი მიიღო. მაგალითად, ს. ბუჩუკურის ოჯახს ავანსად 13.250 კილოგრამი ხორბალი ერგო.

ამ მიღწევების მოპოვება შესაძლებელი გახდა თანამედროვე მოწინავე ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენებით, შრომის მტკიცე დისციპლინის დაცვით, მოწინავე აგროტექნიკის განხორციელებით.

საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში კოლმეურნეებს დახმარება გაუწია აგრეთვე კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულმა სამწლიანმა აგროტექნიკურმა კურსებმა. ამ კურსებზე ჩაბმული იყო 24 მოწინავე კოლმეურნე. ისინი ეუფლებოდნენ სოფლის მეურნეობის ახალ პროგრესულ მეთოდებს და უხვი მოსავლის ოსტატთა მდიდარ გამოცდილებას. მსმენელებმა შეძენილი ცოდნა ფართოდ გამოიყენეს პრაქტიკულ მუშაობაში. ამის შედეგად საშემოდგომო ხორბლის საუკეთესო მოსავალი მოიყვანეს.

ცნობილია, რომ შემოდგომის ხორბლის უხვი მოსავლის საფუძვლის ჩაყრა იწყება ნიადაგის ძირითადი დამუშავებით. კოლმეურნეობა მომზადებული შეხვდა 1951 წლის საშემოდგომო თესვას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ქავთარაძე, აგრონომი ნ. ბაზერაშვილი და მემინდვრეობის ბრიგადირები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში შესრულებას, სისტემატურად ამოწმებდნენ სამუშაოთა ხარისხს. კოლმეურნეობას 3.204 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი ეთესა, რომელიც წინამორბედების მიხედვით ასეთნაირად იყო განაწილებული: ნაწვერალზე დაითესა 2.300 ჰექტარი, სათოხნი კულტურების (სიმინდისა და მზესუმზირას) შემდეგ 472 ჰექტარი და ახლად ათვისებულ მიწებზე — 432 ჰექტარი.

კოლმეურნეობაში ყოველწლიურად იზრდება საშემოდგომო ხორბლის ნათესი ფართობი. 1950 წელთან შედარებით გასულ წელს 1.109 ჰექტარით მეტი შემოდგომის ხორბალი იყო დათესილი. კოლმეურნეობის გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევს ახალი მიწების ათვისების საქმეს. შარშან შირაქის ველზე შემოდგომის ხორბლის დასათესად ათვისებულ იქნა 472 ჰექტარი მიწა, ახლად ასათვისებელი მიწები კოლმეურნეობამ აპრილში მოხნა 22-23 სანტიმეტრის სიღრმეზე წინმხვნელიანი გუთნებით, ბელტების დაშლის მიზნით ხნული თეფშებიანი ფარცხით ორ კვალად დაფარცხეს, სარეველების მოსპობის მიზნით თესვამდის სამჯერ ჩაატარეს ხნულის კულტივაცია, ხოლო ნიადაგში არსებული ტენის შენარჩუნების მიზნით კულტივაციის თანმიყოლებით აწარმოებდნენ ნიადაგის ფარცხვას ზიგზაგისებური ფარცხებით.

კოლმეურნეობამ საშემოდგომო ხორბლის დასათესად განკუთვნილ ნაკვეთებზე ნაწვერალი შემდეგნაირად დაამუშავა: მოსავლის აღების პარალელურად ფართობს ათავისუფლებდნენ ნამჯისაგან, რის შემდეგ თვითეულ ჰექტარზე შეიტანეს 350-400 კილოგრამი სუპერფოსფატი, 80-100 კილოგრამი სულფატამონიუმი და 50-60 კილოგრამი კალიუმის მარილი.

ნიადაგის ზედაპირზე სასუქების თანაბრად განაწილებისა და ამავე დროს მუშახელის ეკონომიის მიზნით, ნაწვერალში ძირითადი ხვნის წინ სასუქების შესატანად გამოყენებული იყო ჩამთესებმოხსნილი 24-მწკრივიანი ხორბლის კომბინირებული სათესი მანქანები, მანქანების შეუფერხებელი მუშაობის მიზნით სასუქები წინასწარ დაფხვნეს და კარგად აურიეს ერთმანეთში ზემოთ აღნიშნული ნორმებით. ნაწვერალის ძირითად ხვნას 22-23 სანტიმეტრ სიღრმეზე წინმხვნელიანი გუთნებით კოლმეურნეობა 20 ივნისიდან 18 ივლისამდე აწარმოებდა. ნიადაგში ტენის შენარჩუნების მიზნით ხვნის პარალელურად ერთ აგრეგატში აწარმოებდნენ ხნულის დაფარცხვას. სარეველების მოსასპობად თესვამდე ორჯერ მოაწყეს ხნულის კულტივაცია, ხოლო ნიადაგში ტენის შენარჩუნების მიზნით კულტივაციის თანმიყოლებით აწარმოებდნენ ფარცხვას. თესვისწინა კულტივაციის დროს ჰექტარზე შეიტანეს 200 კილოგრამი სუპერფოსფატი და კალიუმის მარილი 60 კილოგრამი. სათოხნი კულტურებიდან განთავისუფლებულ ნაკვეთებზე ხვნის წინ თვითეულ ჰექტარზე შეიტანეს: 300 კილოგრამი სუპერფოსფატი, 100 კილოგრამი სულფატამონიუმი და 70 კილოგრამი კალიუმის მარილი. მოხნეს 22-23 სანტიმეტრ სიღრმეზე წინმხვნელიანი გუთნებით.

არხილოსკალოელებს მრავალი წლის გამოცდილება აქვთ თესვის საუკეთესო ვადების დადგენის საქმეში. მათ კარგად იციან, რომ შირაქის მინდვრებში ხორბლის თესვის საუკეთესო ვადა ოქტომბერია, ამიტომ მათ გასულ წელს შემოდგომის ხორბლის თესვა ძირითადად ოქტომბერში დაამთავრეს. კოლმეურნეობის გამგეობა და მემინდვრეობის ბრიგადირები გამოცდილებით დარწმუნდნენ, ხორბლის მწკრივად და ჯვარედინად თესვის უპირატესობაში, 2.736 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი მწკრივად დათესეს, 468 ჰექტარი კი ჯვარედინად. გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ჯვარედინად ნათესი ხორბალი ჰექტარზე საშუალოდ 3-4 ცენტნერით მეტ მოსავალს იძლევა. ამ წესით თესვის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ სათესლე მასალა თანაბრად ნაწილდება ფართობზე, ნათესი ნაკლებად სარევლიანდება, მცენარეთა ბარტყობა უკეთესად მიმდინარეობს, პროდუქტიულ ღეროთა რაოდენობა მეტია, ვიდრე სხვა წესით ნათესებში, თავთავები კარგად არის განვითარებული და მარცვალი უფრო მსხვილია. ჯვარედინი წესით ნათეს ფართობიდან კოლმეურნეობამ მიმდინარე წელს საშუალოდ 4-5 ცენტნერით მეტი მოსავალი მიიღო, ვიდრე ჩვეულებრივ მწკრივად ნათესებიდან.

ხორბლის მოსავლიანობის გასადიდებლად არანაკლები მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ პირობებთან შეგუებული მაღალმოსავლიანი ჯიშების შერჩევას. ამ მიზნით კოლმეურნეობას დათესილი ჰქონდა ადგილობრივი პირობების ამტანი ხორბლის მაღალმოსავლიანი ჯიშები: „ნოვოუკრაინკა 83“, რომელიც 1.319 ჰექტარზე ეთესა, „კრასნოდარკა“ —258, „კოოპერატორკა“ — 850, „ბანატკა“ — 180 და „დოლის პური 35/4“ —597 ჰექტარზე. აღნიშნული ჯიშებიდან ხორბლის ყველაზე მაღალი მოსავალი მიღებულ იქნა ჯიშ „ნოვოუკრაინკა 83“-ის ნათესიდან.

კოლმეურნეობამ ადრე გაზაფხულზე ჩაატარა მინდვრის თაგვთან ბრძოლა. ხორბლის ნათესები გაწმინდა კაჭაჭებისაგან, რის შემდეგ თებერვალ-მარტში ორგანიზებულად ჩაატარა ჯეჯილების გამოკვება მინერალური სასუქებით, თვითეულ ჰექტარზე შეიტანა 150 კილოგრამი სუპერფოსფატი და 100 კილოგრამი სულფატამონიუმი. სასუქები შეტანის წინ კარგად დაფხვნეს, ერთმანეთში აურიეს და თანაბრად გაანაწილეს მთელ ფართობზე, ნიადაგის შეშრობისთანავე აპრილში დაფარცხეს ჯეჯილები „ზიგზაგით“, რითაც ნათესში შეტანილი სასუქები ნიადაგში მოაქციეს, ნაკვეთი გააფხვიერეს და ხელი შეუწყეს მცენარეთა განახლებულ ბარტყობას. ჯეჯილის დამუხლებამდე ყანების მარგვლა ორჯერ მოაწყეს, ხორბლის დათავთავების შემდეგ სათესლე ნაკვეთებზე აწარმოებდნენ ჯიშობრივ მარგვლას ჯიშის სიწმინდის დაცვის მიზნით.

დანაკარგის თავიდან ასაცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს პურის დროულად აღებას, მკის დაწყების ვადის ზუსტად დადგენას.

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, კოლმეურნეობის გამგეობამ ბრიგადირებთან და ქედის მტს-ის წარმომადგენელთან ერთად წინასწარ შეამოწმა ყანები და განსაზღვრა ცალკეული ნაკვეთების პურეულის აღების ვადები. შემდეგ კი შეადგინეს მოსავლის აღების კალენდარული გეგმა, რომელიც განიხილეს გამგეობის სხდომაზე და დაამტკიცეს კოლმეურნეობის საერთო კრებაზე.

კოლმეურნეობამ ხორბლის მთელი ნათესი ფართობი კომბაინით აიღო შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ. მოსავლის აღებაზე კოლმეურნეობაში 13 კომბაინი მუშაობდა.

არხილოსკალოელ კოლმეურნეთა ეს ძვირფასი გამოცდილება ფართოდ უნდა დაინერგოს საქართველოს პურის მომყვან კოლმეურნეობებში.

ახლა არხილოსკალოელი კოლმეურნეები სწავლობენ რა პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის შთამაგონებელ სიტყვას, ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეხუთე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. დიდი საწარმოო აღმავლობის ნათელი განსახიერებაა წითელწყაროელ კოლმეურნეთა საყურადღებო წინადადება მარცვლეულის პრობლემის სანიმუშოდ გადაჭრისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ამ წინადადებას მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოს ყველა კოლმეურნეობამ.

კ. კალანდაძე,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროპაგანდის სამმართველოს მემინდვრეობის ჯგუფის ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის 29 ოქტომბრის სხდომაზე კორეის საკითხის შესახებ[*]

შემთხვევითი როდია, რომ უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი წევრი აღნიშნავდა, რომ არსებული ცნობები საკმაოდ ნათელი არ არის, ერთმანეთის საწინააღმდეგოა და რომ არ შეიძლება ცალმხრივი წესით, ჩრდილოეთ კორეის მთავრობის ახსნა-განმარტების მოუსმენლად, მიღებულ იქნას რაიმე გადაწყვეტილება. ეს დელეგატი ცნობილია თავისი მტრული განწყობილებით კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისადმი, მაგრამ მას მაინც უნდა აღენუსხა ფაქტები, როგორც ისინი მოხდა, აღენუსხა ფაქტები ისე, როგორც იყო.

ეს ფაქტები საკმაოა, რათა უთუოდ დადგენილად მივიჩნიოთ, რომ არავითარი ობიექტური, მიუკერძოებელი წყაროებიდან მიღებული ცნობები იმის შესახებ, თუ რა მოხდა 1950 წლის 25 ივნისის განთიადზე კორეაში, უშიშროების საბჭოს განკარგულებაში არ ყოფილა და რომ ამის გამო უშიშროების საბჭოს არავითარი უფლება არა ჰქონდა ემტკიცებინა, თითქოს სამხრეთ კორეაში პირველნი შეიჭრნენ ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ძალები, და მიეღო ასეთი გადაწყვეტილება ამის შესახებ. მიუხედავად ამისა, უშიშროების საბჭომ უმთავრესად ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით არ დააყოვნა მიეღო გადაწყვეტილება, რომელიც ახლა სურთ წარმოგვიდგინონ როგორც გადაწყვეტილება, რომელიც მართალ პასუხს იძლევა კორეაში აგრესიის დაწყების კითხვაზე და იმაზე, თუ ნამდვილად ვინ იყო აგრესორი.

მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალება. სულ უფრო მტკიცედ და გაბედულად გაისმის ახლა ხმები, რომლებიც ულმობლად ამხილებენ უშიშროების საბჭოს 1950 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების სიყალბეს, სულ უფრო გადაჭრით ისმება ახალ-ახალი კითხვა, რომლებზეც პასუხი უნდა გასცე და რომლებზე პასუხის გაუცემლად უკვე არ შეიძლება იმის იმედი იქონიო, რომ შეიძლება დაუსჯელად შეიყვანო შეცდომაში საზოგადოებრივი აზრი.

ყველა ამ ფაქტის გამო სასაცილო ხდება ბ-ნ აჩესონის მელოდრამატული განცხადება იმ ვერდიქტის შესახებ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიამ გამოიტანა და რომელიც სამართლიანი იყო მაშინ, როგორც სამართლიანია ახლაც. მაგრამ სერიოზულად კია ეს ნათქვამი?

აჩესონმა თქვა: „სამართლიანი ვერდიქტი“. განა შესაძლებელია სამართლიანი ვერდიქტები, რომლებიც გამოტანილი იქნება საკმაო საფუძვლის უქონლად? განა შესაძლებელია სამართლიანი ვერდიქტები, რომლებიც გამოტანილი იქნება რომელიმე ბრალდებულის წინააღმდეგ უიმისოდ, რომ მოუსმინონ ამ ბრალდებულს, მოისმინონ მისი ახსნა-განმარტება? და ამას თქვენ უწოდებთ „სამართლიან ვერდიქტს“!

არ შეიძლება ასე მკრეხელურად მოეპყროთ ამ დიად სიტყვას — ვერდიქტს, რომელიც გამოხატავს სახალხო მსაჯულთა, იმ პატიოსან ადამიანთა აზრს, რომლებიც მოწოდებული არიან გადაწყვიტონ სასამართლო საქმეები. არა. არავითარი „სამართლიანი“ ვერდიქტი არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიას და არც უშიშროების საბჭოს არ გამოუტანიათ, რადგან ნამდვილი სამართლიანი ვერდიქტი გულისხმობს პატიოსან და ობიექტურ გამოკვლევას, ურომლისოდაც ვერავითარი ვერდიქტი ვერ იქნება ცნობილი სამართლიანად, რაც უნდა ბევრი იყვირონ ამაზე სხვადასხვა ვექილებმა. ყოველივე, რაც 25 ივნისს, 27 ივნისსა და 7 ივლისს უშიშროების საბჭოში მოხდა, იყო თავიდან ბოლომდე კომედია, რაც გათამაშებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების დირიჟორობით, რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში სისხლისღვრას ამზადებდნენ კორეაში, ხელს უშლიდნენ კორეის მშვიდობიან გაერთიანებას, სისტემატურად უწყობდნენ ხელს ლისინმანური მთავრობისა და თვით ლი სინ მანის აგრესიულ გეგმებს. მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭომ, და ისიც უკანონო შემადგენლობით, 25 ივნისს მიიღო დადგენილება, წამდაუწუმ იმეორებენ ერთსადაიმავეს — „აგრესია ჩრდილოეთ კორეიდან“, „აგრესია ჩრდილოეთ კორეიდან“. „აგრესია ჩრდილოეთ კორეიდან“... ხოლო ფაქტები? ფაქტები უშიშროების საბჭოს არა ჰქონია. უშიშროების საბჭომ ეს დადგენილება მიიღო სამხრეთ კორეის მთავრობის დეპეშის საფუძველზე, მთავრობისა, რომელმაც ფაქტები დაამახინჯა. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ დადგება დრო, როცა სავსებით, უფრო მეტად, ვიდრე ამისი შესაძლებლობა გვაქვს ახლა, მხილებული იქნება სამხრეთ კორეიდან ჩრდილოეთ კორეაზე თავდასხმის საიდუმლოება, საიდუმლოება, რომელსაც უკვე ახლა შეიძლება ვუწოდოთ პოლიშინელის საიდუმლოება, ე. ი. საიდუმლოება, რომელიც ნამდვილად დიდი ხანია საიდუმლოება აღარ არის.

ამ ფაქტების მიხედვით მტკიცედ უნდა უარვყოთ, ყოველგვარ შესაძლებლობას მოკლებულად მივიჩნიოთ იმის იმედი, რომ რაიმე წარმატება ექნეს ბ-ნ აჩესონის ცდას—კვლავ, ორ წლიწადნახევრის დაგვიანებით, დაუბრუნდეს საკითხს, თუ საიდან დაიწყო აგრესია კორეაში.

კორეის ომი შემთხვევითი როდია. კორეის ომი ესაჭიროებოდათ ამერიკელ კაპიტალისტებს, რომლებიც შეშფოთებითა და შიშით ადევნებდნენ თვალყურს მოახლოებული ეკონომიკური კრიზისის ნიშნებს და რომლებიც დიდ იმედს ამყარებდნენ, რომ შესაბამისი ახალი სტიმული ექნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების დაქვეითებული ეკონომიკის აღმავლობას. ეს სტიმული გამოჩნდა სწორედ კორეის ომის ფორმით, რომელმაც გამოიწვია არა მარტო საშინელება და ასეულ ათასობით ადამიანის სიკვდილი, არამედ აგრეთვე სამხედრო დაკვეთების ნაკადი და სიკვდილით მოვაჭრეთა დიდი მოგება. კორეაში რომ ომი არ დაწყებულიყო, იგი უნდა დაწყებულიყო დედამიწის რომელიმე სხვა რაიონში, როგორც ეს არაერთხელ აღიარეს კორეის ინტერვენციის ორგანიზატორებმა და სულისჩამდგმელებმა.

„რომელიმე კორეა უნდა ყოფილიყო ან აქ, ან დედამიწის რომელიმე სხვა ნაწილში“, — განუცხადა მოკავშირეთა სახმელეთო ჯარების სარდალმა გენერალმა ვან-ფლიტმა ფილიპინების ოფიციალურ პირთა დელეგაციას, რომელიც მას ეწვია.

ასეთია კორეის ომის ფესვები, ასეთია მისი წარმოშობის წყაროები, ასეთია ფაქტები, რომელთა მოსპობაც არ შეიძლება არც იურიდიული და არც ადვოკატური რიტორიკით.

აჩესონი ამტკიცებდა, რომ დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში ამერიკის სარდლობის ერთადერთი მიზანი იყო მისწრაფება—მიეღო მაქსიმალური გარანტიები აგრესიის განახლების წინააღმდეგ. მაგრამ პოზიცია, რომელიც ამერიკის სარდლობას ეკავა ამ მოლაპარაკებაში, სრულიად ეწინააღმდეგება ამ მტკიცებას.

აი ფაქტები:

1. აჩესონი, მაგალითად, იმოწმებდა იმას, რომ საჭიროა ამ მიზნით არ იქნას დაშვებული ჯარის რიცხვის გადიდება ადამიანთა შემადგენლობის შეცვლისას. ეს წინადადება არავითარ შესიტყვებას არ იწვევდა კორეა-ჩინეთის სარდლობის მხრივ, რომელიც ამავე დროს, სავსებით სამართლიანად მოითხოვდა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც შეუძლებელს ხდიან ბოროტმოქმედებას ამ საქმეში, შეუძლებელს ხდიან იმას, რომ ადამიანთა შემადგენლობის შეცვლის საბაბით მოწინააღმდეგე მხარემ ფაქტიურად გაადიდოს შეიარაღებული ძალების რიცხვი. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი კორეა-ჩინეთის სარდლობის მოთხოვნა დაწესებულიყო, რომ ასეთი შეცვლა შეიძლება არაუმეტეს 5 ათასი კაცისა, მაშინ როცა ამერიკის სარდლობა მოითხოვდა 75.000 კაცის შეცვლას და მოითხოვდა ისე დაჟინებით, რომ ამ საკითხში ჩიხის თავიდან ასაცილებლად კორეა-ჩინეთის სარდლობა დათანხმდა თვითეული მხარის შეიარაღებული ძალების ადამიანთა შესაცვლელი შემადგენლობის რაოდენობა გადიდებულიყო 35.000 კაცამდე. ამრიგად, კორეა-ჩინეთის მხარე დიდ დათმობაზე წავიდა.

2. ამერიკის სარდლობა მოითხოვდა უფლებას, რომ ეგრეთწოდებული მიუკერძოებელი კომისიის დახმარებით კონტროლი გაეწია იმისათვის, რაც კორეა-ჩინეთის მხარის ზურგში ხდება. ეს იქნებოდა ჩრდილოეთ კორეის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევა, თუმცა ამ ეგრეთწოდებული მიუკერძოებელი კომისიის მეშვეობით, რაც, რასაკვირველია, არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო როგორც გარანტია შესაძლო აგრესიის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, მხოლოდ ხელს შეუწყობდა ყოველგვარი სამხედრო გართულების გამომწვევი ახალ-ახალი ინციდენტის წარმოშობას.

3. ამერიკის სარდლობა დიდხანს დავობდა სადემარკაციო ხაზის შესახებ, ცდილობდა რა, რომ ეს ხაზი გასულიყო ამერიკელებისათვის სტრატეგიულად ყველაზე ხელსაყრელი მიმართულებით, და შეენარჩუნებინა წინათ დაპყრობილი რაიონები. ამერიკის სარდლობამ წარადგინა სულელური მოთხოვნები სადემარკაციო ხაზის გაყვანის დროს ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დათმობის შესახებ, ამასთან თვალთმაქცურად აცხადებდა, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დელეგაცია“ თავისი წინადადების მიღებას დაჟინებით მოითხოვს არა იმიტომ, რომ იგი თითქოს დაინტერესებულია „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების“ კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიის გაფართოებით, არამედ იმიტომ, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობისათვის“ საჭიროა შეიძინოს მოხერხებული თავდაცვითი ზღუდეები, რომლებიც არ მოიპოვება 38-ე პარალელის რაიონში. თუ ამ მოთხოვნას დააკმაყოფილებდნენ, ამერიკის სარდლობის კონტროლში მოექცეოდა 13 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ფართობი, ანუ კორეის მთელი ფართობის $^{1}/_{20}$ ნაწილი. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ სადემარკაციო ხაზი გასულიყო, კერძოდ, კორეის აღმოსავლეთ სანაპიროზე კესონის ჩრდილოეთით, რომელიც მდებარეობს 8 კილომეტრზე 38-ე პარალელის ჩრდილოეთით. რაც შეეხება ონგდინის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილს, ისინი მზად იყვნენ დაეთმოთ იგი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, რადგან, როგორც ამერიკის დელეგაციის წევრმა ჰოჯდმა განაცხადა, მათთვის სულ ერთია, ვის გადასცემენ მას — ეთიოპიას თუ ავსტრალიას.

4. თანხმდებოდა რა საომარი მოქმედების შეწყვეტაზე ჰაერსა და ზღვაში, ამერიკის სარდლობა მოითხოვდა კომპენსაციას ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიის ერთი ნაწილის დათმობის სახით.

ამერიკელთა მთელი ეს მოთხოვნები ცხადყოფენ, თუ ნამდვილად რა მიზნებს ისახავდა ამერიკის სარდლობა, როცა ევაჭრებოდა სადემარკაციო ხაზის შესახებ, და რატომ მოუნდა ამ ვაჭრობას თითქმის მთელი თვე.

აჩესონს არაფერი უთქვამს იმაზე, რომ კესონში დაზავების შესახებ მოლაპარაკების მსვლელობას თან ახლდა სისტემატური სამხედრო ინციდენტები კესონის ნეიტრალურ ზონაში, რომლებიც გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ სამხრეთკორეელი და ამერიკელი ჯარისკაცების პროვოკაციებით — ხან იმით, რომ ამერიკის თვითმფრინავები სისტემატურად უშენდნენ ცეცხლს კორეა-ჩინეთის დელეგაციის ავტომანქანას, მიუხედავად იმისა, რომ მანქანაზე ფრიალებდა თეთრი ალამი, ხან პანმინჯონში, ნეიტრალური ზონის საზღვარზე, საგუშაგოებისათვის ტყვიამფრქვევის დაშენით, ხან ამერიკის თვითმფრინავებიდან საწვავიანი ავზების გადმოყრით და კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა დელეგაციის ადგილსამყოფელი რაიონის დაბომბვით, ან მოლაპარაკების საწარმოებლად გამოყოფილი შენობისათვის ცეცხლის დაშენით. მარტო 8 დღის განმავლობაში (1951 წ. 23-30 აგვისტო) ამერიკის თვითმფრინავებმა 12-ჯერ დაარღვიეს კესონის ზონის საჰაერო სივრცე, ხოლო 1 სექტემბერს გენერალ ნამ ირის რეზიდენციის მახლობლადაც კი ჩამოყარეს ბომბები. სექტემბრის პირველ კვირაში ამერიკელებმა 100-ჯერ გადაუფრინეს კესონის ნეიტრალურ ზონას და ცეცხლს უშენდნენ მოლაპარაკების ადგილს. საჭირო იყო უდიდესი თავდაჭერა, რომ ასეთ პირობებში შეენარჩუნებინათ სიმშვიდე, მზად ყოფილიყვნენ მიეღწიათ შეთანხმებისათვის სხვადასხვა საკითხზე, რომლებსაც ამერიკელთა სარდლობა აშკარად მწვავე ფორმას აძლევდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, კორეისა და ჩინეთის მხარემ შეძლო თავიდან აეცილებინა მრავალი საბაბი, რომლებიც ხელს უშლიდნენ დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში შეთანხმების მიღწევას. სწორედ კორეისა და ჩინეთის მხარის ასეთი მოქნილი, უაღრესად მშვიდობისმოყვარული და პატიოსანი ტაქტიკის შედეგად იქნა შეთანხმებული დაზავების შესახებ შეთანხმების 60-ზე მეტი მუხლი.

მაგრამ შეუთანხმებელი დარჩა ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც, მართლაც, უაღრესად მწვავე ფორმა მიიღო, — სამხედრო ტყვეების გაცვლის საკითხი. ეს საკითხი საკმაოდ სერიოზულია იმისათვის, რომ მასზე დაწვრილებით შევჩერდეთ, მით უმეტეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია ამჯერადაც, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, ცდილობს ამერიკელთა სარდლობის სრულიად მიუღებელი, ამ საკითხში საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების საწინააღმდეგო პოზიცია გაასაღოს გაერთიანებული ერების თვალსაზრისად.

სამხედრო ტყვეების საკითხი სრულიადაც არ იყო მოულოდნელი ამერიკის მხარისათვის, როგორც ამას აქ ამტკიცებდა ბ-ნი აჩესონი. სინამდვილეში ეს საკითხი თავიდანვე იდგა დაზავების შესახებ კესონის მოლაპარაკების დღის წესრიგში.

დაწვრილებით არ ვილაპარაკებ და მხოლოდ შევეხები სამხედრო ტყვეების გაცვლის საკითხზე მოლაპარაკების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს. 1951 წლის 12 დეკემბერს კორეისა და ჩინეთის მხარემ ამ საკითხზე შემდეგი წინადადება წამოაყენა:

თვითეული მხარის ხელში მყოფი ყველა სამხედრო ტყვის განთავისუფლება; თვითეული მხარის ხელში მყოფი ყველა სამხედრო ტყვის განთავისუფლება და ჯგუფებად რეპატრიაცია რაც შეიძლება მოკლე ვადაში დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ და პირველ რიგში მძიმედ დაჭრილი და სერიოზულად ავადმყოფი სამხედრო ტყვეების განთავისუფლება; სამხედრო დაზავების კომისიის კონტროლში მყოფი რეპატრიაციის კომიტეტის შექმნა, რომელიც შედგენილი იქნება თვითეული მხარის დელეგატთა თანაბარი რიცხვიდან; თვითეული მხარის ხელში მყოფი სამხედრო ტყვეების სიების გაცვლა მაშინვე, როგორც კი მიღწეული იქნება შეთანხმება წინა პუნქტებზე.

ამ წინადადებათა არსის გამო პასუხის ნაცვლად ამერიკის მხარემ ულტიმატური ფორმით მოსთხოვა კორეისა და ჩინეთის მხარეს წარედგინა ინფორმაცია სამხედრო ტყვეების შესახებ და ეგრეთწოდებული წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლების მიერ სამხედრო ტყვეების ბანაკების დათვალიერების შესახებ და უარი თქვა არსებითად განეხილა ჩინეთისა და კორეის მხარის წინადადება ინფორმაციის წარდგენამდე.

კორეისა და ჩინეთის მხარემ ასეთი ცნობები წარადგინა 11.559 სამხედრო ტყვეზე. თავის მხრივ ამერიკის დელეგაციამ წარადგინა 132.474 კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვის სიები, თუმცა მანამდე წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს მან გადასცა 176.679 სამხედრო ტყვის სიები.

ბ-ნმა აჩესონმა განაცხადა, რომ 37 ათასი კაცი „ხელახლა კვალიფიცირებულ“ და განთავისუფლებულ იქნა, რადგან აღმოჩნდა, რომ ისინი იყვნენ არა სამხედრო ტყვეები, არამედ სამოქალაქო პირები. შემდეგში ამგვარადვე ამერიკელთა სარდლობამ მოახდინა კიდევ 11 ათასი კაცის „ხელახალი კვალიფიკაცია“.

კორეისა და ჩინეთის მხარემ მოსთხოვა ამერიკელთა დელეგაციას ეცნობებინა 1.456 სამხედრო ტყვის ბედი, რომლებიც 18 დეკემბერს შეტანილ იქნენ სამხედრო ტყვეთა საერთო რიცხვში, მაგრამ რომელთა გვარებიც არ იყო აღნიშნული შემდგომ სიებში, აგრეთვე 44.205 სამხედრო ტყვის ბედი, რომლებიც წინათ ირიცხებოდნენ ამერიკელების მიერ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მეშვეობით გადაცემულ სიებში, მაგრამ არ იყვნენ შეტანილი 1951 წლის 18 დეკემბერს გადაცემულ სიებში. ამერიკის მხარემ განაცხადა, რომ ცნობები 44 ათასი სამხედრო ტყვის შესახებ მოძველდა და რომ ეს სამხედრო ტყვეები უკვე განთავისუფლებული არიან, ხოლო შემდეგ იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ისინი ამერიკულ ბანაკებში იმყოფებიან და შეტანილი არ ყოფილან 18 დეკემბერს გადაცემულ სიებში იმ მიზეზით, რომ ვითომდა ისინი არიან სამოქალაქო პირები, სამხრეთ კორეის მკვიდრნი, რომლებიც ძალით იყვნენ მობილიზებულნი კორეის სახალხო არმიაში.

1951 წლის 31 დეკემბერს ამერიკის დელეგაციამ პირობა დადო 2 იანვრისათვის წარმოედგინა სრული ცნობები სამხედრო ტყვეების შესახებ; 3 იანვარს მან გაიმეორა ეს დაპირება, მაგრამ არავითარი ცნობები არ წარმოუდგენია; 12 იანვარს მან განაცხადა, რომ არავითარი საჭიროება არ არის წარმოადგინოს ცნობები სამხედრო ტყვეებზე დაზავების შესახებ შეთანხმების მიღწევამდე; 15 იანვარს მან თქვა, რომ წარმოადგენს ძირითად ცნობებს თუ სამაგიეროდ კორეისა და ჩინეთის მხარე წარმოადგენს დამატებით ცნობებს სამხრეთკორეელ სამხედრო ტყვეთა შესახებ, ხოლო 18 იანვარს განაცხადა, რომ ეს ცნობები არ არის ძირითადი და რომ მათში არ იქნება შეტანილი ცნობები 44.205 სამხედრო ტყვის შესახებ. დასასრულ, 1952 წლის 28 იანვარს ამერიკელთა მხარემ წარადგინა ცნობები, მაგრამ მხოლოდ 132.474 სამხედრო ტყვის შესახებ.

ახლა ბ-ნი აჩესონი აცხადებს, რომ საბოლოო ანგარიშით ამერიკელთა ბანაკებში ირიცხება მხოლოდ 121 ათასი კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვე. გვერდს ვერ ავუვლით ისეთ ფაქტსაც, როგორიც არის რიჯუეის შტაბის 1951 წლის 31 დეკემბრის აღიარება, რომ ომის დასაწყისში დატყვევებული 140 ათასი კაციდან 7 ათასამდე კაცი ამერიკელთა ბანაკებში მოკვდა.

არ შეიძლებოდა, რომ ყოველივე ამას უაღრესად უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა მოლაპარაკების მსვლელობაზე. ასევე უარყოფითი გავლენა მოახდინეს ამერიკელთა მხარის მიერ წამოყენებულმა მოთხოვნებმა, როგორიც არის მოთხოვნა, რომ სამხედრო ტყვეების გაცვლა მოხდეს ერთში ერთის საფუძველზე, აგრეთვე ამერიკელთა წინადადება, რომ ეგრეთწოდებულმა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა იკისროს ამოცანა გამოარკვიოს, რომ ტყვეთა და სამოქალაქო პირთა გადაწყვეტილება რეპატრიაციის შესახებ იძულების შედეგი ხომ არ არის.

ნამდვილი საშინელი მდგომარეობაა! ადამიანები ამბობენ რეპატრიირება გვსურსო, აქ კი სპეციალურ კომისიას ავალებენ შეამოწმოს, ნამდვილად სურთ თუ არა მათ რეპატრიირება, ეს იძულების შედეგი ხომ არ არისო. ასეთივე ხასიათის იყო ამერიკელთა სარდლობის წინადადება, რომ სამოქალაქო პირებად ჩაითვალონ ის კორეელი სამხედრო ტყვეები, ვინც 1950 წლის 25 ივნისამდე ან სამხრეთ კორეის, ან ჩრდილოეთ კორეის მოქალაქე იყო. ამ უკანასკნელი წინადადების მიღება იმას ნიშნავდა, რომ 60 ათასზე მეტი კორეელი სამხედრო ტყვე ავტომატურად მიეკუთვნებოდა სამოქალაქო პირთა კატეგორიას.

აი, შეიძლება ითქვას, რა ვერაგი მექანიკა იმალებოდა მთელ ამ უკანონო წინადადებებში!

ბუნებრივია, რომ კორეისა და ჩინეთის მხარემ გადაჭრით უარყო ამერიკის მხარის ეს უკანონო მოთხოვნები, რომლებიც მხოლოდ იმისათვის იყო ნავარაუდევი, რომ დაეკავებინათ 165 ათასი სამხედრო ტყვე—კორეის სახალხო არმიის მეომარნი და ჩინელი სახალხო მოხალისენი და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ასეულ ათასობით ძალით გარეკილი მოქალაქე იმ აშკარა მიზნით, რომ ეს სამხედრო ტყვეები ჩან კაი-შის ან ლი სინ მანის ხელში ჩაეგდოთ.

როცა სამხედრო ტყვეების საკითხი ორივე მხარის შტაბის ოფიცრებს გადაეცა განსახილველად და ეს ოფიცრები მუშაობას შეუდგნენ, ამერიკის მხარემ კვლავ წარადგინა თავისი წინადადება ეგრეთწოდებული **ნებაყოფლობითი რეპატრიაციის** შესახებ. ამ მოთხოვნას ამერიკის მხარე კვლავაც განუწყვეტლივ იმეორებდა და, როგორც შემდეგმა ამბებმა ცხადყო, იგი ამერიკის დელეგაციის ხელში გახდა შემდგომი ზეგავლენის საშუალება, რათა მიაღწიოს თავის მიზნებს, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ დაზავებაზე შეთანხმების მიღწევის მიზნებთან.

მაგრამ, როცა 21 მარტს კორეისა და ჩინეთის მხარემ კვლავ სცადა მიეღწია სამხედრო ტყვეების შესახებ შეთანხმებისათვის და მოითხოვა, რომ დაზავებაზე შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ კორეის სახალხო არმიას და ჩინეთის სახალხო მოხალისეებს გაეთავისუფლებინათ და სამშობლოში დაებრუნებინათ მათ ხელში მყოფი 11,5 ათასი სამხედრო ტყვე, ხოლო ამერიკელთა სარდლობას გაეთავისუფლებინა და სამშობლოში დაებრუნებინა მის ხელში მყოფი ყველა 132.474 სამხედრო ტყვე, რომელთა სიებსაც საბოლოოდ შეამოწმებენ ორივე მხარის ოფიცრები, 25 მარტს ამერიკელთა დელეგაციამ განაცხადა, რომ კორეისა და ჩინეთის მხარის ეს წინადადებანი „სათანადო მოწესრიგებით შეიძლება ამ საკითხის გადაწყვეტის შესაფერისი საფუძველი გახდესო“.

ერთხელ კიდევ გაიელვა იმედის სხივმა, რომ შეიძლება დაზავებაზე მოლაპარაკება კეთილად დამთავრებულიყო!

ამერიკელთა მხარის პრინციპული თანხმობის გამო კორეისა და ჩინეთის დელეგაციამ შეიტანა კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ, რომ რომელიმე მხარის ხელში მყოფი არაკორეელი ეროვნების სამხედრო ტყვეები და კორეელი სამხედრო ტყვეები, რომელთა საცხოვრებელი ადგილი იმ რაიონებში არ არის, რომლებსაც კონტროლს უწევს მათი დამტყვევებელი მხარე, რეპატრიირებულ უნდა იქნან მთლიანად, ამავე დროს კორეელი სამხედრო ტყვეები, რომელთა საცხოვრებელი ადგილი არის იმ რაიონებში, რომლებსაც კონტროლს უწევს მათი დამტყვევებელი მხარე, შეიძლება რეპატრიირებულ არ იქნან, თუ მათ სურთ დაბრუნდნენ შინ და მშვიდობიანი ცხოვრება დაიწყონ.

სამხედრო ტყვეების საკითხის განხილვა გაგრძელდა 1952 წლის ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში, ამასთან 4 ივლისს მხარეებს შორის შეთანხმებული იქნა დაზავებაზე შეთანხმების პროექტის 51-ე და 52-ე პარაგრაფებიც.

ცნობილია, რომ 51-ე პარაგრაფი ითვალისწინებს რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს და რეპატრიირებულ იქნას **ყველა** სამხედრო ტყვე, რომელიც თვითეულ მხარეს ჰყავს დაზავებაზე შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტში, და ეს მოხდეს იმ სიების საფუძველზე, რომლებიც, როგორც ნათქვამია ამ პარაგრაფში, ერთმანეთს გაუგზავნეს და რომლებიც შეამოწმეს შესაბამისმა მხარეებმა დაზავებაზე შეთანხმების ხელმოწერამდე. 52-ე პარაგრაფში ნათქვამია, რომ არც ერთ სამხედრო ტყვეს ნება არ ეძლევა კვლავ მიიღოს მონაწილეობა ომში და რომ ყველა სამხედრო ტყვე მშვიდობიან ცხოვრებას უნდა დაუბრუნდეს.

შემდგომ ამერიკელთა დელეგაციამ განაცხადა, რომ თანახმაა მოახდინოს მხოლოდ 83 ათასი კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვის რეპატრიაცია, რაც ნიშნავდა განზრახვას შეენარჩუნებინათ დიდძალი კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვე. მაშინ კორეისა და ჩინეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ ეს წინადადება ეწინააღმდეგება დაზავებაზე შეთანხმების შეთანხმებული პროექტის 51-ე და 52-ე პარაგრაფების პრინციპებს, და უარყო ამერიკელთა წინადადება. მაშინ ამერიკელებმა განაცხადეს, რომ მათი წინადადება არის „მტკიცე, გადამწყვეტი და უცვლელი“ და უარი თქვეს საკითხის არსებითად განხილვაზე.

ინტერესს არ არის მოკლებული, რომ 1952 წლის 5 თებერვალს ამერიკის დელეგაციამ 52-ე პარაგრაფი ასე ჩამოაყალიბა: „52. ყველა სამხედრო ტყვე, რომელიც ტყვედ ჰყავს თვითეულ მხარეს, განთავისუფლდება რაც შეიძლება მალე დაზავებაზე ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ. ამრიგად ყველა განთავისუფლებული სამხედრო ტყვე რეპატრიირებულ იქნება ან გადაეცემა მეორე მხარეს, მაგრამ არ მოხდება იძულებითი რეპატრიაცია ან იძულებითი გადაცემა“.

როგორც შემდეგმა ამბებმა ცხადყო, ამერიკის სარდლობა ნამდვილად ახორციელებდა ღონისძიებებს, რათა იძულებით დაეკავებინა სამხედრო ტყვეები. მთელი რიგი თვეების განმავლობაში ამერიკელთა სამხედრო სარდლობა სამხედრო ტყვეების ბანაკებში იყენებდა ისეთ ღონისძიებათა მთელ სისტემას, რომელთა მიზანი იყო სამხედრო ტყვეების ტერორიზება და მათთვის სამშობლოში რეპატრიაციაზე უარის გამოძალვა. მან სამხედრო ტყვეების ბანაკებში პასუხსაგებ პოსტებზე დანიშნა ლი სინ მანისა და ჩან კაი-შის აგენტები, რომლებიც საშინელ მხეცობას სჩადიოდნენ ამ ბანაკებში ამერიკელთა სარდლობის ბრძანებით. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ, რომ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეებს ასვირინგებდნენ. მათ საკუთარი სისხლით აწერინებდნენ განცხადებებს, ვინც უარს ამბობდა, სცემდნენ და ხოცავდნენ. ყოველივე ამას სჩადიოდნენ, რათა ნაწამები და ნაგვემი სამხედრო ტყვეებისათვის გამოეძალათ უარი შინ დაბრუნებაზე.

ამავე დროს მოლაპარაკების მსვლელობაში ამერიკელები კვლავ დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მოხდეს სამხედრო ტყვეების „განმეორებითი გამოკითხვა“ და „გადარჩევა“.

ასეთი განმეორებითი „გამოკითხვის“ თვით ფაქტი იმას მოწმობს, რომ თავდაპირველ „გამოკითხვას“ ისეთი ნაკლოვანებანი ჰქონდა, რომ მას ადამიანი ნდობით ვერ მოეკიდებოდა. თორემ რაღა საჭირო იყო ასეთი განმეორებითი „გამოკითხვა“? ასეთი განმეორებითი „გამოკითხვის“ თვით ფაქტი, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით ხდებოდა ეს და როგორი იყო ამ „გამოკითხვასთან“ დაკავშირებული პროცედურა, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების უხეში დარღვევაა, მათი აბუჩად აგდებაა.

შეიძლება მოვიყვანოთ მთელი რიგი უდავო ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა მხეცურად აწამებენ კორეელ და ჩინელ მეომრებს ამერიკელთა ტყვეობაში; მოვიყვანოთ ფაქტები, რომელთა შესახებ ცნობებითაც სავსეა დამოუკიდებელი და თავისუფალი პრესის ფურცლები და რომლებიც დადასტურებულია თვით ამერიკელების და მათი ნაქები ეგრეთწოდებული წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ. დავასახელებ მხოლოდ ზოგიერთ ამ ფაქტს.

თუ რა აუტანელი წესებია გამეფებული ამერიკულ ბანაკებში, ამას ცხადად მოწმობს კუნძულ კოჯედოს ბანაკის 1952 წლის თებერვლისა და მაისის სისხლიანი ამბები. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მოხსენებაში შეტანილია ამ კუნძულის ბანაკის კომენდანტის პოლკოვნიკ ფიცჯერალდის მიერ წარმოდგენილი ცნობები 18 თებერვლის ამბების შესახებ. აი როგორ აღწერს ეს პოლკოვნიკი 18 თებერვლის ამბებს:

„მას შემდეგ, რაც შტაბიდან მოვიდა ინსტრუქციები, სადაც აღნიშნული იყო, რომ სამხედრო ტყვეებმა და ინტერნირებულმა სამოქალაქო პირებმა პირადად და ფარული წესით უნდა გამოაცხადონ, სურთ თუ არა კვლავ გადარჩეულ იქნან, № 62 სექტორის სამხედრო ტყვეებმა უარი თქვეს შეესრულებინათ ეს პროცედურა. ამასთან დაკავშირებით ეს საკითხი გულდასმით იქნა განხილული და საბოლოო ანგარიშით გადაწყდა, რომ პატიმრების მცირე ჯგუფებად დაყოფისათვის გამოყენებულ უნდა იქნან ჯარები. ეს გეგმა შემუშავებულ, მოწონებულ და განხორციელებულ იქნა ამ მიზნის მიღწევისათვის“.

რას ნიშნავს ეს? უნდათ დაკითხონ ადამიანებს, სურთ თუ არა მათ რეპატრიირება, და იმისათვის, რომ მოახდინონ ეს დაკითხვა, მცირე ჯგუფებად ჰყოფენ მათ. განა ცხადი არ არის, რომ ეს ჩვეულებრივი ხერხია პოლიციისა, რომელიც ცდილობს ადამიანთა ურთიერთშორის სოლიდარული მასა დაჰყოს ერთეულებად, რათა უფრო ადვილად გაუსწორდეს უკმაყოფილოებს, რათა უფრო ადვილად მიიღოს მათგან იმის თანხმობა, რომ არ სურთ შინ დაბრუნება. მარტო ეს ერთი ფაქტი საკმარისია, რათა ცხადი გახდეს, რომ ყოველივე ამას სჩადიოდნენ იმ მიზნით, რომ პისტოლეტისა და ტყვიამფრქვევის მუქარით დაეთანხმებინათ იმაზე, რასაც ჟანდარმები და სამხედრო ხელისუფალნი მოითხოვდნენ. ეს აღიარა ბანაკის კომენდანტმა პოლკოვნიკმა ფიცჯერალდმა.

ასე იყო ეს საქმე. ასეთ ვითარებაში განა შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ ასეთი სამარცხვინო ღონისძიებანი ისახავდნენ რაღაც ჰუმანურ მიზანს, რის შესახებაც აქ დიდი ამბით ლაპარაკობდა ბ-ნი აჩესონი, რომ ყოველივე ამას სჩადიოდნენ იმისათვის, რომ „გადაერჩინათ სამხედრო ტყვეები მათი ბელადებისაგან“? კლავდნენ სამხედრო ტყვეებს, რომ ისინი გადაერჩინათ, — აი აჩესონის ფორმულა.

მოუსმინეთ შემდეგ ფიცჯერალდს:

„სექტორს მცველები მივუჩინეთ და პატიმრები დავყავით მცირე ჯგუფებად. ყველაფერი რიგზე იყო მანამდე, სანამ კომუნისტმა აგიტატორებმა, რომლებიც საკმაოდ ბლომად არიან ამ სექტორში, არ წააქეზეს სამხედრო ტყვეთა ერთ-ერთი ბატალიონი თავს დასხმოდა გაერთიანებული ერების ჯარისკაცებს.

ყველა პატიმარი შეიარაღებული იყო რკინის ძალაყინებით, კეტებით და ეკლიანი მავთულის თვითნაკეთი იარაღით. ჯარისკაცებს დაუშინეს დიდი ქვები და თვითნაკეთი გრანატები. ჯარები იძულებული გახდნენ მიეღოთ თავდაცვის მტკიცე ღონისძიებანი, რათა მოეგერიებინათ თავდასხმა. მთელი ამ დემონსტრაციის განმავლობაში ფრიალებდა კომუნისტური ალმები და დროშები და ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ თავდასხმის მიზანი იყო გაერთიანებული ერების ჯარების გარეკვა.

მე არ დავესწრებივარ პატიმართა ამ თავდასხმას, რადგან დავტოვე ეს სექტორი მას შემდეგ, რაც გეგმის პირველი ნაწილი წარმატებით განხორციელდა. როცა სექტორში დავბრუნდი, მაცნობეს მომხდარი ინციდენტი. მე გამოვიკვლიე მდგომარეობა და მივედი იმ დასკვნამდე, რომ იმ მომენტში ჩვენი

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

---

[*] გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 259, 260.

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლის გაგრძელება

ამოცანის განხორციელება შეუძლებელი იყო. ამიტომ გავეცი ბრძანება ჯარების უკანდახევის შესახებ, რათა თავიდან აგვეცილებინა შემდგომი სისხლისღვრა“.

ყურადღებას იპყრობს უწინარეს ყოვლისა ის, რომ თვით პოლკოვნიკი ფიცჯერალდი არ ყოფილა ამ ამბების მოწმე, რომლებსაც იგი უწოდებს „პატიმართა თავდასხმას“ იმის ნაცვლად, რომ ამას სწორად უწოდოს ამერიკის ჯარების თავდასხმა უიარაღო პატიმრებზე. ამიტომ მის ცნობაში სიმართლეა მხოლოდ ის, რომ ეგრეთწოდებული „გადარჩევა“, რასაც აქ ბ-ნმა აჩესონმა „გამოკითხვა“ უწოდა, წარმოებდა ამერიკის ჯარების მიერ იარაღის გამოყენების საშუალებით მას შემდეგ, რაც სამხედრო ტყვეები ძალით დაყვეს მცირე ჯუფებად, რათა უფრო ადვილად გასწორებოდნენ მათ.

პოლკოვნიკ ფიცჯერალდის ცნობები სრულიად ეწინააღმდეგება ეგრეთწოდებული წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგატთა ცნობას, რომელიც, როგორც ნათქვამია მოხსენებაში, მათ მიიღეს პირველი წყაროებიდან. აი რა არის ნათქვამი ამ მოხსენებაში:

„18 თებერვალს დილის დაახლოებით ოთხ საათზე მთლიანად შეიარაღებული ერთ პოლკამდე ჯარები სრულიად გაუფრთხილებლად შევიდნენ სექტორში. თითქმის ყველა პატიმარს ეძინა, გარდა რამდენიმე კაცისა, რომლებიც გუშაგებად იდგნენ კარავში. ჯარები გარშემოერტყნენ სხვა კარვებს, მათ შორის ნდობით აღჭურვილი პირის კარავსაც, და ამ პირმა ვერ შეძლო კონტაქტი დაემყარებინა ბანაკის ადმინისტრაციასთან.

პატიმრები ხიშტების მუქარით აიძულეს თავიანთ კარვებში დარჩენილიყვნენ. მაგრამ ერთმა თუ ორმა მათგანმა, რომლებმაც არ იცოდნენ რა ხდებოდა, სცადა კარვებიდან გამოსვლა. მათ სროლა აუტეხეს. შეშინებული პატიმრები, რომლებიც ფიქრობდნენ ყველას დაგვხოცავენო, კარვებიდან გამოვარდნენ, რათა თავი დაეცვათ და გამოერკვიათ, რა ხდებოდა. ჯარებმა მათ სროლა აუტეხეს“.

აი სინამდვილეში როგორ იყო საქმე, და არა ისე, როგორც ტყუოდა პოლკოვნიკი ფიცჯერალდი, რათა გაემართლებინა თავისი ჯალათები.

„გათენებისას, — ვკითხულობთ შემდეგ წითელი ჯვრის მოხსენებაში, — ნდობით აღჭურვილმა პირმა კვლავ ამაოდ სცადა დალაპარაკებოდა ამ ჯარების მეთაურს. მან (ნდობით აღჭურვილმა პირმა. **რედ.**) აგრეთვე ამაოდ სცადა შეენარჩუნებინა თავისი კონტროლი პატიმრებისადმი. მისი ერთ-ერთი ამხანაგი, პატიმართა მესამე ბატალიონის ხელმძღვანელი, რომელიც მას ეხმარებოდა მეთაურთან კავშირის დამყარებაში, ტყვიით მოკლეს. ამ მომენტში — დაახლოებით რვა საათზე — მოქმედების ადგილზე მივიდა პოლკოვნიკი ფიცჯერალდი. მისი თანადასწრებით პატიმრებს, რომლებიც მღეროდნენ, კიდევ რამდენჯერმე ესროლეს“.

აი როგორ მოხდა ტყვეების ეს სისხლისღვრა, რომლის თავიდან აცილებას ცდილობდნენ სამხედრო ტყვეთა ნდობით აღჭურვილი პირი და მისი თანაშემწე — სამხედრო ტყვეთა მესამე ბატალიონის ხელმძღვანელი. მაგრამ ეს ამაო აღმოჩნდა. ხელმძღვანელი მოკლეს, ხოლო პატიმრები, რომლებიც მღეროდნენ ეროვნულ სიმღერებს, ეროვნულ ჰიმნს, დახვრიტეს.

წითელი ჯვრის მოხსენებაში ნათქვამია, რომ კომენდანტმა წინადადება მისცა პატიმრებს დამსხდარიყვნენ მას შემდეგ, რაც მოკლეს კიდევ რამდენიმე პატიმარი, ამასთან მათი გვამები ტყვეების წინ ეყარა.

„პოლკოვნიკმა ფიცჯერალდმა რამდენჯერმე განაცხადა—ჯარებს უკან წაიყვანენო, მაგრამ ეს არ მომხდარა. შემდეგ ნდობით აღჭურვილმა პირმა სთხოვა პოლკოვნიკ ფიცჯერალდს მასთან ერთად მოეხდინა დათვალიერება, რათა გამოერკვია, თუ რა მოხდა. იგი დათანხმდა და ნდობით აღჭურვილ პირთან და პატიმართა ხელმძღვანელებთან ერთად ნახა, რა ზარალი იყო მიყენებული, და გაიგონა, როგორ ითხოვდა დახმარებას ერთ-ერთი დაჭრილი.

ისინი შევიდნენ ბარაკში, სადაც სასადილო იყო. აქ მთელ პერსონალს მიჩენილი ჰყავდა მცველები. ნდობით აღჭურვილი პირის თხოვნა ამ ადამიანთა განთავისუფლების შესახებ უარყოფილ იქნა. აქედან ყველანი წავიდნენ სექციაში, სადაც იყო ფარდულები, ამასთან ჩაუარეს ორმოც პატიმარს, რომლებსაც დარაჯობდნენ მცველები. პატიმრები ისხდნენ თავზე ხელებგადაჯვარედინებულნი. ერთ-ერთი მათგანი დაჭრილი იყო თოფის კონდახის დარტყმით. ნდობით აღჭურვილმა პირმა არ იცის, შენიშნა თუ არა ეს კომენდანტმა. ჯარისკაცებმა მის ხალხს არ მისცეს ნება წაეღოთ მკვდრები და წაეყვანათ დაჭრილები ამბულატორიაში. შემდეგ მათ ნახეს სხვა პატიმრები, რომლებიც ჯერ კიდევ კარვებში იყვნენ. პოლკოვნიკმა ნდობით აღჭურვილი პირის თხოვნით გასცა ბრძანება მათი განთავისუფლების შესახებ. ისინი გამოვიდნენ კარვებიდან და ბრძანების თანახმად მიწაზე დასხდნენ“...

(გაგრძელება იქნება)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

საბჭოთა დელეგაციის რეზოლუციის პროექტი

ნიუ-იორკი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ვიუწყებოდით, 29 ოქტომბერს გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე კორეის საკითხის შესახებ სიტყვა წარმოთქვა ა. ი. ვიშინსკიმ (ეს სიტყვა ქვეყნდება ჩვენს გაზეთში). სიტყვის დასასრულს ამხ. ვიშინსკიმ შეიტანა რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

„გენერალური ასამბლეა,

რომელმაც განიხილა კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიის მოხსენება, საჭიროდ თვლის:

დაარსდეს კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების კომისია უშუალოდ დაინტერესებული მხარეებისა და სხვა სახელმწიფოების, მათ შორის იმ სახელმწიფოების მონაწილეობით, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ კორეის ომში.

დაევალოს ხსენებულ კომისიას დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი კორეის საკითხის მოსაწესრიგებლად კორეის გაერთიანების საფუძველზე, რასაც განახორციელებენ თვით კორეელები ზემოაღნიშნული კომისიის მეთვალყურეობით“.

• • •

ნიუ-იორკი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). 30 ოქტომბერს პოლიტიკური კომიტეტი განაგრძობდა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისიის მოხსენების“ განხილვას.

მას შემდეგ, რაც გამოვიდა კოლუმბიის დელეგატი სურდისი, რომელმაც მლიქვნელურად გაიმეორა აჩესონის მტკიცება კორეაში მყოფი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხზე და რომელმაც ამასთან მთელ რიგ ცილისმწამებლურ გამოხდომას მიმართა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სიტყვები წარმოთქვეს ინგლისის წარმომადგენელმა ლოიდმა და საფრანგეთის წარმომადგენელმა ოპენომ.

ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა მთელი ყურადღება მიაპყრეს სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხს და ვერ გაბედეს სადავოდ გაეხადათ ის, რომ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის უფლება საერთოდ აღიარებული წესია საერთაშორისო ურთიერთობაში. მათ მიმართეს ახალ მანევრს და ცდილობდნენ რაიმე გამართლება გამოეძებნათ ამ წესის „გამონაკლისებისათვის“ და სხვადასხვა იურიდიული ხრიკით დაემახინჯებინათ მისი აზრი.

ინგლისის წარმომადგენლის სიტყვაში გამოსჭვიოდა ინგლისის მმართველი წრეების შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისელი ხალხი მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი კორეაში და მშვიდობიანად მოწესრიგდეს კორეის საკითხი. ლოიდს შემთხვევით როდი დაუწყია თავისი სიტყვა მოწოდებით არ აჰყვეთ „ცთუნებას“ და „არ მიმართოთ საზოგადოებრივ აზრს“, არამედ თქვენი სიტყვებით დელეგატებს მიმართეთო, აჩესონის შემდეგ ინგლისის დელეგატიც ამტკიცებდა, რომ ინგლის-ამერიკის ბლოკს „არა სურს გაგრძელდეს ომი კორეაში არც ერთი წამით მეტ ხანს, ვიდრე ეს საჭიროა“.

თავის სიტყვაში ინგლისელი დელეგატი ცდილობდა გაემართლებინა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის უარი — დააბრუნონ სამხედრო ტყვეები სამშობლოში და ყოველნაირად ამართლებდა ამერიკის სარდლობის რეპრესიებს კორეაში მყოფი სამხედრო ტყვეების მიმართ.

ლოიდმა ჩამოთვალა საკითხები, რომლებზეც უკვე მიღწეულია შეთანხმება პანმინჯონის მოლაპარაკებაზე, და რწმენა გამოთქვა, რომ შეიძლება მიღწეულ იქნას სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხის გადაწყვეტაც. „მაგრამ ამასთან მან განაცხადა, რომ რეპატრიაციის „ძირითადი პრინციპით“ „ლაპარაკიც კი არ შეიძლება კომპრომისზეო“, რითაც ამრიგად მხარი დაუჭირა კორეაში ამერიკის სარდლობის პოზიციას.

კორეის საკითხის მომწესრიგებელი კომისიის შექმნის შესახებ სსრ კავშირის დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ ინგლისის წარმომადგენელმა იმ საბაბით გაილაშქრა, რომ ასეთი კომისია თითქოს „საჭირო არ არის“. თავისი სიტყვის დასასრულს ლოიდმა განაცხადა, რომ თითქოს მისთვის „ნათელი არ არის“ სსრ კავშირის პოზიცია სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის შესახებ და ამ საკითხზე კორეის არმიის და ჩინელ მოხალისეთა სარდლობის 8 ოქტომბრის წინადადებანი.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ოპენომ სიტყვით მხარი დაუჭირა იმას, რომ კორეის ომი რაც შეიძლება მალე შეწყდეს ორივე მხარისათვის „საპატიო პირობებით“. საფრანგეთის დელეგატმა აღიარა, რომ სამხედრო ტყვეების შესახებ ჟენევის კონვენციის დებულება, რომელიც ითვალისწინებს საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ ყველა სამხედრო ტყვის დაბრუნებას სამშობლოში, „გონივრული“ და „საღია“, რადგან იგი მიმართულია მოპირდაპირე მხარის სამხედრო ტყვეების იძულებით დაკავების წინააღმდეგ. მაგრამ საფრანგეთის დელეგატი მაშინვე მოჰყვა მსჯელობას, რომ კორეაში „განსაკუთრებული“ პირობებია, რომლებიც „ამართლებენ ამ წესიდან გადახვევას“, და ამრიგად ცდილობდა დაეცვა კორეაში ამერიკის სარდლობის პოზიცია, რომელიც უარს ამბობს სამშობლოში სამხედრო ტყვეების დაბრუნებაზე. მან გულმოდგინედ აუარა გვერდი სსრ კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტს კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების კომისიის შექმნის შესახებ ისე, რომ ამ პროექტზე კრინტი არ დაუძრავს.

როგორც ინგლისის წარმომადგენელმა, ისე საფრანგეთის წარმომადგენელმა სთხოვეს საბჭოთა დელეგაციას „განემარტა“ სსრ კავშირის პოზიცია კორეაში სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხზე, თუმცა, როგორც ცნობილია, სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ 29 ოქტომბერს წარმოთქმულ სიტყვაში უკვე ნათელი და ამომწურავი პასუხი გასცა ამ საკითხზე.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 31 ოქტომბერს გამოაქვეყნა ცნობა:

კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს ამერიკელმა ჰაერის მეკობრეებმა ბარბაროსულად დაბომბეს დასახლებული პუნქტები, სადაც არავითარი სამხედრო ობიექტი არ მოიპოვება. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ბევრი ბავშვი, მოხუცი და ქალი.

საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დააზიანეს 6 თვითმფრინავი.

გენერალ ნამ ირის პროტესტი

პეკინი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 30 ოქტომბერს კესონიდან გადასცა ცნობა:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში კორეისა და ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა მტკიცე პროტესტი განუცხადა ამერიკელებს იმის წინააღმდეგ, რომ 27 ოქტომბერს იონჩხონში სამხედრო ტყვეთა ბანაკში მათ დაჭრეს კორეისა და ჩინეთის მხარის ხუთი ტყვე მებრძოლი.

გენერალმა ნამ ირმა აღნიშნა, რომ ამერიკის მხარეს უნდა დაეკისროს სრული პასუხისმგებლობა მისი სამხედრო დანაშაულისათვის — სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ განუწყვეტელი რეპრესიებისათვის.

ამერიკის თვითმფრინავთა პროვოკაციული თავდასხმა ჩინეთის ტერიტორიაზე

პეკინი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი მუკდენიდან იუწყება, რომ 26 ოქტომბერს კორეაში მყოფი ამერიკის ინტერვენციონისტული ჯარების თვითმფრინავები შეიჭრნენ ლიაო-დუნის პროვინციის საჰაერო სივრცეში ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში. დაბომბვისა და ცეცხლის დაშენის შედეგად მოკლულ და დაჭრილ იქნა მრავალი ჩინელი მოქალაქე.

ამერიკელი იმპერიალისტების ახალმა პროვოკაციამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ ჩინეთში.

ფასების შემცირება კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ფხენიანი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის გაზეთები იუწყებიან სურსათის ფასების მნიშვნელოვან შემცირებას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების კოოპერაციულ მაღაზიებში და ბაზრებზე.

აღნიშნავს რა მშრომელთა ცხოვრების პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიმდინარე წელს, გაზეთი „მინჯუ ჩოსონი“ წერს: მიუხედავად ომიანობის მძიმე პირობებისა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ წელს მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ზამთარში ქალაქებისა და სოფლების მშრომელი მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებას. ულარიბესი მოსახლეობა განთავისუფლდა ნატურალური გადასახადის გადახდისა და სესხად მიღებული სურსათის დაბრუნებისაგან. მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებს გაუდიდდათ სასურსათო ნორმები. მთავრობის ყველა ამ ღონისძიებამ შეამცირა სურსათის საბაზრო ფასები და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშების, მოსამსახურეების, გლეხებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობა. მაგალითად, ფხენიანში ბრინჯის, ღომისა და გაოლიანის ფასები, მიმდინარე წლის ივნისთან შედარებით ერთიორად შემცირდა. მარტო ოქტომბერში ამ პროდუქტების ფასები შემცირდა 20 პროცენტით. ფართო მოხმარების საგნების, სამრეწველო საქონლისა და ტანსაცმლის ფასები შემცირდა 60 პროცენტით.

მდგომარეობა ერაყში

ბეირუთი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). დამასკოს რადიოს ცნობით, 28 ოქტომბერს ერაყის ოთხი ოპოზიციური პარტიის ლიდერები ეწვივნენ ერაყის სამეფო კანცელარიის უფროსს და გადასცეს მას მოთხოვნები ერაყში მთელი რიგი რეფორმების განხორციელების შესახებ. ოპოზიციური პარტიები მოითხოვენ ერაყის კონსტიტუციის შეცვლას იმ მიმართულებით, რომ შეიზღუდოს მეფის ხელისუფლება, შეიცვალოს საარჩევნო კანონი პირდაპირი არჩევნების შემოღების საფუძველზე, შეიზღუდოს მიწის საკუთრება და განაწილდეს მიწები გლეხთა შორის, გაუქმდეს ინგლის-ერაყის 1930 წლის კაბალური ხელშეკრულება და გაყვანილ იქნას ერაყიდან უცხოეთის ჯარები, აგრეთვე ერაყმა არ მიიღოს მონაწილეობა ეგრეთწოდებულ „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ იმპერიალისტურ პროექტში.

როგორც ბეირუთის რადიო იუწყება, სამეფო კანცელარიის უფროსმა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს აცნობა, რომ ერაყის რეგენტი „მზად არის მხედველობაში მიიღოს“ რეკომენდაციები ერაყში რეფორმების განხორციელების შესახებ.

მდგომარეობა ირანში

თეირანი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ქეიხანი“ იუწყება, უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში სამხედრო-პოლიციურმა ხელისუფლებმა თეირანში აკრძალეს 70-ზე მეტი გაზეთის გამოცემა, რომლებიც გამოდიოდნენ დახურული გაზეთების „ბესუე აიანდეს“, „შაჰბაზის“ ნაცვლად და არსებობდნენ არა უმეტეს 1—3 დღისა. 30 ოქტომბრიდან დაწყებული, პოლიციურმა ხელისუფლებმა აუკრძალეს სტამბებს რაიმე გაზეთის დაბეჭდვა „ბესუე აიანდეს“, „შაჰბაზისა“ და ზოგიერთი სხვა დემოკრატიული გაზეთის ნაცვლად.

ამერიკის პრესა პოლიტიკურ კომიტეტში ა. ი. ვიშინსკის 29 ოქტომბრის გამოსვლის შესახებ

ნიუ-იორკი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა კორეის საკითხზე პოლიტიკური კომიტეტის 29 ოქტომბრის სხდომაზე ამერიკის პრესის ფართო ყურადღებას იპყრობს.

ყველა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას მოათავსა ცნობები ვიშინსკის სიტყვის შესახებ და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კორეის შესახებ რეზოლუციის საბჭოთა პროექტს. გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ მთელი გვერდი დაუთმო სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის გამოსვლას და, გარდა ამისა, მოათავსა ამ გამოსვლის სპეციალური კომენტარი.

თუმცა ამერიკის პრესა ცდილობს შეამციროს მნიშვნელობა საბჭოთა წინადადებისა კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების კომისიის შექმნის შესახებ, მაგრამ იგი მაინც იძულებულია აღიაროს, რომ ამ წინადადებამ დიდი ინტერესი გამოიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში, განსაკუთრებით კი არაბთა, აზიის ქვეყნების და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის დელეგაციებში.

აზიის ქვეყნების ზოგიერთი დელეგატის თავდაპირველი გამოხმაურება, წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი, მოწმობს მეგობრულ ინტერესს სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებისადმი. კორესპონდენტის სიტყვით, გენერალური ასამბლეის ყოფილი თავმჯდომარე, მექსიკის წარმომადგენელი ნერვო, გამოთქვამს რა ინტერესს საბჭოთა წინადადებებისადმი, მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის მიმდინარე სესიაზე ამ წინადადებათა განხილვას. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ა. ი. ვიშინსკის გამოსვლისადმი ინტერესს იჩენს აგრეთვე საფრანგეთის დელეგაცია. ეს გამოსვლა, მისი აზრით კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის იმედს სახავს.

გაზეთ „დეილი კომპასის“ კორესპონდენტი დინი წერს, რომ „ნეიტრალური“ ქვეყნების მთელ რიგ დელეგაციებს ახლა „იმედი აქვთ, რომ კორეის საკითხი მშვიდობიანად მოწესრიგდება“. „ამერიკის დელეგაციის წარმომადგენლის კომენტარები,—წერს დინი,—ფრთხილი და გულცივი იყო. იგი ამტკიცებდა, რომ მას არ შესწევს ძალა მიხვდეს, თუ რა ჰქონდა მხედველობაში ვიშინსკის, და რომ ამერიკის შეერთებული შტატები გადაჭრით ეწინააღმდეგებიან მშვიდობიანი მოლაპარაკების გადატანას პანმინჯონიდან“.

„მაგრამ ინდოელმა და სხვა ნეიტრალურმა მიმომხილველებმა,—განაგრძობს დინი,—იმედის სხივი დაინახეს სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებაში. შესაძლებელია, რომ რუსებმა გააღეს მეორე კარი, რომელმაც შექმნა დაზავების შესაძლებლობა,—თქვა ერთ-ერთმა ასეთმა მიმომხილველმა“.

გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის“ კორესპონდენტი აგრეთვე აღნიშნავს, რომ იმ დროს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ საბჭოთა წინადადებაში „ახალი არაფერია“, დელეგატთა დიდი უმრავლესობა უაღრესად დაინტერესებულია საბჭოთა კავშირის წინადადებით კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ და სურს გულმოდგინედ შეისწავლოს როგორც ვიშინსკის გამოსვლა, ისე საბჭოთა წინადადება.

ამერიკის პრესის ცნობებში შეშფოთება გამოსჭვივის იმის გამო, რომ ა. ი. ვიშინსკის სიტყვამ და საბჭოთა დელეგაციის წინადადებამ ძნელ მდგომარეობაში ჩააყენა ამერიკის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გაზეთ „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სონ“ გულახდილი აღიარებით, სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებამ „ძნელ მდგომარეობაში ჩააყენა დასავლეთის ქვეყნების დიპლომატები“.

რეაქციული გაზეთის „ბალტიმორ სანის“ კორესპონდენტი უორდი აცხადებს, რომ საბჭოთა დელეგაციამ „დაყოვნებული მოქმედების ბომბი ჩამოაგდო კორეაში დაზავების მიღწევის გზების შესახებ დისკუსიის დროს“. შემდეგ უორდი წერს, რომ საბჭოთა წინადადება „ყოველ შემთხვევაში შეამცირებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების იმ შანსებს, რომ გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიას, ხმის დიდი უმრავლესობით მოაწონებინონ კორეაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობის პოლიტიკა“.

აჯამებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეების გამოხმაურებას სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის გამოსვლის გამო, ვაშინგტონის გაზეთი „ტაიმს-ჰერალდი“ აღნიშნავს, რომ, „დასავლეთის“ დიპლომატების აზრით, ვიშინსკის წინადადება გამოიწვევს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა დიდი ნაწილის, თუ არ უმრავლესობის“, ინტერესს.

ამრიგად, ამერიკის პრესა იძულებულია აღიაროს, რომ საბჭოთა წინადადებამ შეშფოთება გამოიწვია ამერიკა-ინგლისის ბლოკის ხელმძღვანელთა შორის, ჩაშალა ამერიკის ის გეგმები, რომ შანტაჟისა და ზეგავლენის გზით სწრაფად და უსიტყვოდ მოაწონებინონ ასამბლეას ამერიკის აგრესია კორეაში.

ტოკიოში გაიხსნა იაპონიის მშვიდობის დაცვის კონგრესი

ტოკიო, 31 ოქტომბერი (საკდესი). დღეს ტოკიოში გაიხსნა იაპონიის მშვიდობის დაცვის კონგრესი. კონგრესს ესწრება იაპონიის ყველა რაიონიდან ჩამოსული 500-მდე დელეგატი, მათ შორის მშვიდობისათვის ცნობილი მებრძოლნი იკუო ოიამა, იოსიტარო ხირანო, კანძიურო თანაგიდა.

დღეს კონგრესმა მოისმინა მოხსენება აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მუშაობის შედეგების შესახებ.

ფილიპინებისა და ამერიკის სამხედრო მოლაპარაკება მანილაში

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). 27 ოქტომბერს მანილაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ფილიპინების წარმომადგენლებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება ამერიკის სამხედრო გეგმების განხორციელებაში ფილიპინების შემდგომი მონაწილეობის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციაში შედიოდნენ: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ფილიპინებზე სპრიუენსი, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილე ფოსტერი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე შორეული აღმოსავლეთის საქმეებში ალისონი და ადმირალი რედფორდი. ფილიპინების დელეგაციაში შედიოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ელისალდე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი მაგსაისაი.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე, რომელიც შეიცავს ჩვეულებრივ მტკიცებას, თითქოს არსებობს „კომუნისტური საფრთხე“, მყვირალა ფრაზებს წყნარი ოკეანის აუზის დასავლეთი ნაწილის ქვეყნების „სამხედრო ძლიერების განმტკიცების“ შესახებ და სხვ.

მაგრამ მანილიდან მსოფლიო პრესის კორესპონდენტების ცნობები მოწმობენ, რომ თათბირის დახურულ დარბაზში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფილიპინების მთავრობას მოსთხოვეს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს შორეულ აღმოსავლეთში ამერიკელთა სამხედრო ხროვის აგრესიული გეგმების განხორციელებაში და უწინარეს ყოვლისა მიაწოდოს „საზარბაზნე ხორცი“ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ წამოწყებული სამხედრო ავანტიურებისათვის. ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი წერს, რომ თათბირზე, კერძოდ, განხილულ იქნა „ფილიპინების ადამიანთა რეზერვების გამოყენების საკითხი“.

გაზეთები იუწყებიან, რომ თათბირის დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძლიერი ზეგავლენა მოახდინეს ფილიპინების მთავრობაზე, მოითხოვეს დაუყოვნებლივი რატიფიკაცია იაპონიასთან სეპარატული ხელშეკრულებისა, რომელიც, როგორც ცნობილია, არ დაამტკიცა ფილიპინების კონგრესმა, მოითხოვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და ფილიპინებზე ამერიკელთა სამხედრო ბაზების განმტკიცება.

პრესა აღნიშნავს, რომ ფილიპინების მთავრობის წარმომადგენლებმა, მთავრობისა, რომელიც თავს ველარ ართმევს მზარდ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ფილიპინებზე, სთხოვეს ამერიკის შეერთებულ შტატებს დამატებითი სამხედრო დახმარება გაუწიონ ფილიპინებს.

თბილისის თეატრები ოქტომბრის რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის

დიდი შემოქმედებითი აღმავლობით ამზადებენ ახალ სპექტაკლებს თბილისის თეატრები დიადი დღესასწაულისათვის.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ამთავრებს მუშაობას ვ. გაბესკირიას პიესაზე „გაზაფხულის დილა“. მოქმედება წარმოებს რესპუბლიკის ერთ-ერთ ქარხანაში. ქარხნის დირექტორის ლონგინოზის მაგალითზე ავტორი ამხილებს ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკის სიბეცეს, დაუდევარ მუშაობას, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას წარმოების ინტერესებისადმი, თანამშრომლებისადმი.

სპექტაკლს დგამს რეჟისორი ე. იოსელიანი, გაფორმება ეკუთვნის მხატვარ შ. ჩიქოვანს. მთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ვ. გოძიაშვილი, პ. კობახიძე, დამსახურებული არტისტები ა. გომელაური, კ. კვანტალიანი და სხვ.

გრიბოედოვის სახელობის თეატრი ამზადებს გამოჩენილი საბჭოთა დრამატურგის ვსევოლოდ ვიშნევსკის ცნობილ პიესას „ოპტიმისტური ტრაგედია“. სპექტაკლზე მუშაობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. თაყაიშვილი, აფორმებს მხატვარი ე. დონცოვა. კომისრის როლს თამაშობს უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი ი. მაქსიმოვა.

სომხური დრამის თეატრი მაყურებელს უჩვენებს ახალგაზრდა თურქმენი დრამატურგის სტალინური პრემიის ლაურეატის ჰუსეინ მუხტაროვის პიესას „ოჯახის ნამუსი“. ეს პიესა საქართველოში პირველად დადგა შარშან სუხუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა. პიესას დგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ფ. ბეჟიკიანი, დეკორაციებს ხატავს მხატვარი რ. ნალბანდიანი, მუსიკა კომპოზიტორ გ. შახბაგიანისა.

დღესასწაულს ახალი სპექტაკლებით ხვდებიან ახალგაზრდობის თეატრებიც.

მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა მოამზადა დრამატურგ ი. არაყიშვილის პიესა სკოლის ცხოვრებიდან „უკანასკნელი ორიანი“. დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ჟურულს, გაფორმება მხატვარ შ. ქორქოლაძეს.

კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი ამზადებს ორ სპექტაკლს. უფროსი კლასის მოსწავლეებს უჩვენებს ქ. ტრენევის პიესას „გიმნაზიელები“. პიესას დგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. მარშაკი, დეკორაციებს ხატავს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. შტენბერგი.

უმცროსი ასაკის მაყურებლისათვის მზადდება დრამატურგ გ. ლანდაუს ზღაპარი „თოვლიას სკოლა“, რომელსაც დგამს ნ. მარშაკი, აფორმებს მხატვარი ვ. ჩერნიშევი.

რესპუბლიკური პირველობა ტანვარჯიშში

დღეს, 2 ნოემბერს, თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დაიწყება შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს 1952 წლის პირად-გუნდური პირველობისათვის.

რესპუბლიკურ ჩემპიონატში პირველობას ერთმანეთს შეეცილებიან ქ. თბილისისა და თბილისის ოლქის, აჭარისა და აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, აგრეთვე ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა უძლიერესი ტანმოვარჯიშეები, რომელთა საერთო რაოდენობა 200-მდე აღწევს. მათ შორის იქნებიან: სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. თაყაიშვილი, სპორტის ოსტატები—ც. მაჭარაშვილი, ე. ციხითათრიშვილი, თ. ქოიავა, ვ. კულუმბეგაშვილი, ვ. ასათიანი და სხვ. პროგრამაშია ვარჯიში ღერძზე, ორძელზე, რგოლებზე, ტაიჭსა და ღვირზე, აგრეთვე შეჯიბრება ბჯენით ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში.

დამთავრდა შეხვედრები მხატვრულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში. მხატვრულ ტანვარჯიშში პირველი ადგილი დაიკავა სასპორტო საზოგადოება „ისკრას“ წარმომადგენელმა რ. პენკოვამ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ქ. თბილისის სპორტსმენთა კოლექტივმა. აკრობატიკაში (წყვილი) მაღალ სპორტულ შედეგს მიაღწიეს ო. კაკიაშვილმა და ლ. ჩერნოლუცკაიამ (მწვრთნელი მ. ქელეხსაშვილი). ხტომებში გაიმარჯვეს: ქალთა შორის—მ. მჭედლიძემ, ვაჟთა შორის—გ. ქარუმიძემ. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ოლქის აკრობატთა კოლექტივმა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი.

საქართველოს რადიოგადაცემათა 3 ნოემბრის პროგრამა

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.25 — ქართული ხალხური სიმღერები; 07.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 09.20 — შოსტაკოვიჩის სიუიტა კინოფილმ „ბერლინის დაცემიდან“. **რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 17.15— ქ. თუმანიშვილის სონატა ალტისა და საფორტეპიანოსათვის; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ნარკვევი—„ნორჩი ფიზიკოსები“; 18.15 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა შესრულებით; 19.20 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.45 —საუბარი. **რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 20.00 — თბილისის მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების ტრანსლაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ოთარაანთ ქვრივი (დილას და საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — ცეკვის მასწავლებელი (დილას), დაბრუნება (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — მშვენიერ სიცრუეთა დღე (დილას, საღამოს—აბონემენტი 17, 18); **სომხური დრამის** — კლდე (დილას და საღამოს); **მუსიკალური კომედიის** —შურის მაძიებელი (დილას და საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — მშვიდობის მტრედები (აბონემენტი 22, 11 ს.), ჩვენი ადამიანები (აბონემენტი 38, 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—ბიძია თომას ქოხი (10 ს.), წინ, უშიშარნო! (5 ს.); **ხანიტარული კულტურის** — ერთი ოჯახის ისტორია (საღამოს).

მოქალაქე **ზინაიდა ალექსანდრეს ასულმა** ესენკოვამ, მცხოვრებმა ჩრდილოეთი პარკი № 83, აღძრა საქმე ვახუშტის ქ. № 47 მცხოვრებ მოქალაქე კონსტანტინე ათანასეხძე კარტაშოვთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი აცხადებს კონკურსს მუზეუმის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილების გამგის—უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სპეციალისტებს, რომლებსაც მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი აქვთ. განცხადებებისა და ინსტრუქციით დაწესებული საბუთების მიღება იწარმოებს მუზეუმის კანცელარიაში ათი დღის განმავლობაში კონკურსის გამოცხადებიდან.

მისამართი: ქ. თბილისი, კეცხოველის ქ. № 10.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. ყურის, ყელისა და ცხვირის დაავადებათა კათედრის გამგის, 2. ბოტანიკის კათედრის გამგის, 3. ფარმაკოგნოზიის კათედრის გამგის, 4. პედიატრიული და სან-ჰიგიენური ფაკულტეტების საფაკულტეტო თერაპიის კათედრის პროფესორის, 5. პედიატრიული და სან-ჰიგიენური ფაკულტეტების ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის დოცენტის, 6. ფარმაცევტული ფაკულტეტის სასამართლო და ანალიზური ქიმიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარადგინონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (მელიქიშვილის ქ. № 10) განცხადება შემდეგი საბუთების დართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, უმაღლესი განათლების დამთავრების დიპლომის ნოტარიალური ასლი, სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭების საბუთები, შრომათა სია, თვით შრომები და ორი ფოტოსურათი.

კონკურსის ვადა ერთი თვეა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ბიცოლა ევდოკია ჩოჩია, ბიძაშვილები ნინო, დორა, ვერა, ქეთო, სიძეები გ. კაჭარავა, ი. ორჯონიკიძე, ვ. ლორთქიფანიძე და მ. გოგოლიშვილი ოჯახებით იუწყებიან **გრიგოლ თეიმურაზის-ძე ჩოჩიას** გარდაცვალებას.

რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერის თანამშრომლები იუწყებიან **ფუთუ დარისპანის ასულ შოთაძის** გარდაცვალებას.

საკავშირო პროფსაბჭოს ბორჯომი-ლიკანის სანატორიუმის კოლექტივი იუწყება **გრიგოლ თეიმურაზის-ძე ჩოჩიას** გარდაცვალებას.

შვილი ოთარ, და ნატა, ძმები იასონ, არჩილ, ილია, რძლები ზინა, ლიდა, ქენია, ძმისწული თინა დავითაიები, სიძე ბ. ჰაჯიმბა, მული პარასკევა, მაზლი ავქსენტი გაბუნიები ოჯახებით იუწყებიან **ლიზა პავლეს ასულ დავითაია-გაბუნიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-XI ქ. ოჩამჩირეში, გამოსვენება ბინიდან, პარიზის კომუნის ქ. № 101.

ეფროსინე და ალექსანდრე ჯანელიძეები იუწყებიან **ვერა მიხეილის ასულ ჯანელიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 2-XI, 2 ს. სულხან-საბას ქ. № 7.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—8-08-67, სამდივნოსი—8-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების—8-81-84, პროპაგანდის — 8-57-61, მრეწველობის—8-81-84, სოფლის მეურნეობის—8-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის—8-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის—8-80-84, მშრომელთა წერილების—8-73-24, განცხადებების—8-51-81, გამომშვების—8-81-65, გამომცემლობის დირექტორის—8-65-41, სტამბის დირექტორის—8-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05576